# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 29 სექტემბერი. 2018 წ. №192-193 (8593-8594) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


არჩევანი – არადგანი





## ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს კართაგენი!

5

## ქართული მწერლობა კიდევ ერთი დიდი შემოქმედით გაღარიბდა



### გარდაიცვალა მწერალი თამაზ ჭილაძე

87 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქართველი მწერალი, პოეტი და დრამატურგი თამაზ ჭილაძე გარდაიცვალა.

თამაზ ჭილაძე 1931 წლის 5 მარტს ქალაქ სიღნაღში დაიბადა. პირველი ლექსი 15 წლის ასაკში დაწერა. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, შემდეგ ასპირანტურაში.

თამაზ ჭილაძე მუშაობდა „ცისკარში“ (1958-1964); რუსთაველის პრემიების კომიტეტში (1964-1972); იყო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი (1972-1981), ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი (1997-დღემდე).

თამაზ ჭილაძეს მიღებული აქვს რუსთაველის (1992), სახელმწიფო (1997) და რამდენიმე სხვა პრემია. 1996 წელს დასავლეთ გერმანიის რადიო მაუწყებლობამ მიანიჭა პირველი პრემია პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი“. 1999 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა. 1957 წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ვიქტორ რცხილაძე



## XX საუკუნის საქართველოს გმირი მეომრები და ანტიგმირები

6

გურამ ბენაშვილი



8

## „ბოლოს და ბოლოს, მწერლებს ფულს იმისთვის გადაუხდიან, რომ აღარ წერონ“

## აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზური ენაც ქრება!

10

წერილი რუსთაველიდან

## წყალი ჩვენი სიმდიდრეა!

9



ერისა და ბერის გასაგონად!

# შავი ზღვის რეგიონი და კავკასია მშვიდობისა და განვითარების სივრცედ ვაქციოთ!

### მამუკა ბახტაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე

ქალბატონო პრეზიდენტო!
ბატონო გენერალურო მდივანო!
პატივცემულო კოლეგებო!
ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემთვის დიდი პატივია, რომ გამოვდივარ გენერალური ასამბლეის წინაშე და მოგმართავთ ჩემს მშობლიურ, ქართულ ენაზე, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი და განუყოფელი ნაწილია.

დღეს 27 სექტემბერია – უაღრესად მძიმე და ტკივილით სავსე თარიღი ჩემი ქვეყნის ისტორიაში. 25 წლის წინ, სწორედ ამ დღეს დაიწყო საქართველოს ისტორიული ნაწილის ოკუპაცია. რაც უმძიმეს გამოწვევად იქცა საქართველოს ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრიობისთვის. 10 წლის წინ კი, რუსეთის ფედერაციამ ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია განახორციელა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ორი ისტორიული და განუყოფელი რეგიონის – აფხაზეთისა და ცხინვალის სრულმასშტაბიანი ოკუპაცია.

ამ სამხედრო აგრესიიდან 10 წლის შემდეგ ჩვენი ტერიტორიები კვლავ ოკუპირებულია. ეთნიკური წმენდის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტი დღემდე დევნილობაშია, ფეხქვეშ ითელება ასობით ათასი ჩვენი მოქალაქის უფლებები.

უმძიმესი და საგანგაშოა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია არის უმწვავესი ხარისხის ჰუმანიტარული კატასტროფა. მიმდინარეობს ამ რეგიონების მზარდი მილიტარიზაცია, სულ უფრო მწვავე სახეს იღებს დეპოპულაცია, მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება. ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანის უფლებების კუთხით შექმნილი უმძიმესი პირობების გამო ოკუპაციამდელ პერიოდთან შედარებით, 4-ჯერ, 5-ჯერ არის შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

მავთულხლართები და სხვა ხელოვნური ბარიერები ერთმანეთს აშორებს ოჯახებს და არღვევს ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებს. საოკუპაციო ხაზებთან მცხოვრებ მოსახლეობას სალოცავებისა და წინაპართა საფლავების მონახულების საშუალებაც კი არ ეძლევა. ჩვენს მოქალაქეებს უკრძალავენ, მშობლიურ ენაზე მისცენ განათლება საკუთარ შვილებს.

გრძელდება გატაცების, არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის, წამების და მკვლელობის ფაქტები. ამის მსხვერპლი ბოლო ხანს გახდნენ ჩვენი მოქალაქეები არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია, 18 წლის დავით ბაშარული.

იხ. 2-3 გვ.



# შავი ზღვის რეგიონი და კავკასია მშვიდობისა და განვითარების სივრცედ ვაქციოთ!

**მამუკა ბახტაძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე 27 სექტემბერი, 2018 წ.**

**დღეს კი მსურს, ახალი ინიციატივით გამოვიდე და შემოგთავაზოთ „თბილისის ფორუმის“ ჩატარება, რომლის მთავარი მიზანი იქნება შავი ზღვის რეგიონი და კავკასია, რომელიც დღეს დაპირისპირებისა და გამოწვევების არეალია – გადაიქცეს მშვიდობის, თანამშრომლობისა და განვითარების სივრცედ.**

(პირველი გვერდიდან)

სწორედ ამ და სხვა სასტიკი დანაშაულების საფუძველზე შეიქმნა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“, რომელშიც ჩაიწერა ამ დანაშაულების ჩამდენი პირების გვარები. ამ სიის ფიგურანტებს საერთაშორისო სამართლით უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

ოკუპაციამ და კანონიერების უხეშმა ხელყოფამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების გათვალისწინებით, სულ მცირე ინციდენტიც კი შეიძლება გადაიზარდოს უკონტროლო პროცესში, შესაბამისი მძიმე შედეგებით.

უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო საზოგადოების ურყევი მხარდაჭერა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. საერთაშორისო თანამეგობრობა ერთიანი და პრინციპული უნდა იყოს სუვერენული ქვეყნების თავისუფლებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპის სადარაჯოზე, რადგან საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და ადამიანის უფლებების დაცვა არის ერთადერთი გზა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოებისკენ.

რუსეთი დღემდე არ ასრულებს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და 2008 წელს ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას.

ხოლო ჩვენ ეს შეთანხმება სრულად შევასრულეთ და უფრო მეტიც, ავიღეთ ძალის არგამოყენების იურიდიულად სავალდებულო პასუხისმგებლობა. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩვენს შეუქცევად პოლიტიკას, მხოლოდ მშვიდობიანი გზით მივაღწიოთ კონფლიქტის დარეგულირებას.

**შესაბამისად, მივმართავ რუსეთის ფედერაციას: შეასრულეთ ნაკისრი, ხელმოწერილი საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანეთ თქვენი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან!**

ჩვენ ვცდილობთ, აქტიურად გამოვიყენოთ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. თუმცა, ჩვენი მცდელობა მოლაპარაკების მაგიდასთან დღემდე რუსეთის მხრიდან დაუსაბუთებელ და ყოვლად მიუღებელ წინააღმდეგობას აწყდება. მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს ძალისხმევა ჟენევის მოლაპარაკებების პროცესში, რომელსაც ეუთოსა და ევროკავშირთან ერთად დისკუსიების თანათავმჯდომარის ფუნქციაც აკისრია.

დღეს, 21-ე საუკუნეში, როდესაც ადამიანები, როდესაც ერები, კულტურები ისწრაფვიან მეტი ინტეგრაციისა და განვითარებისკენ, ყოვლად დაუშვებელია ხელოვნური ბარიერების შექმნა და მავთულხლართების გაბმა.

ჩვენ გვინდა ურთიერთობების ჩიხიდან გამოყვანა, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო სუვერენეტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანების უფლებების დაცვისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე.

მიუხედავად ამ უსამართლობისა, ჩვენი პასუხი ამ გამოწვევებზე არის მხოლოდ მშვიდობა და საქართველოს განვითარება. ჩვენ წარმოვადგინეთ სამშვიდობო ინიციატივა, რომლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული კატასტროფის დაძლევა და ახალი შესაძლებლობების შექმნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის. ამ ინიციატივებით ჩვენ ვიბრძვით, რომ შევაჩეროთ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისგან დაცლის პროცესი და უზრუნველვყოთ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა.

ამ ინიციატივას ჩვენ დავარქვით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის მიზანია სწორედ ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას მივცეთ წვდომა ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე, შევუქმნათ მათ პირობები კომერციული საქმიანობისთვის, საკუთარი ოჯახების გამოკვებისა და ფიზიკური გადარჩენისთვის.

დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა მივმართო ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს: საქართველოს თითოეული წარმატება თქვენი წარმატებაა! ჩვენ საუკუნოვანი საერთო ისტორიული წარსული გვაკავშირებს, რომელიც საფუძვლად უნდა დავუდოთ ჩვენს მომავალს, რაც, დარწმუნებული ვარ, მოგვიტანს მშვიდობასა და კეთილდღეობას.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, დაიცვას და უზრუნველყოს თავისი ყველა მოქალაქის უფლება და ჩვენ ამას შეუქცევადად და მიზანმიმართულად ვახორციელებთ.

თქვენ უნდა ისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რაც საქართველომ შექმნა – იქნება ეს ადამიანის უფლებები, განათლება, ჯანდაცვა, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა თუ სხვა. მინდა, მივმართო განსაკუთრებით ახალგაზრდებს: ჩვენ ერთად, ერთობლივი მონდომებით უნდა მივაღწიოთ საერთო წარმატებას. ჩვენ ჩვენი მომავალი მხოლოდ თქვენთან ერთად წარმოგვიდგენია.

მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო რუსეთს, ნუ უშლის ხელს და ნუ აფერხებს ჩვენს სამშვიდობო ინიციატივებს, მისცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს ღირსეული ცხოვრების საშუალება.

* * *

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველო მდიდარი კულტურისა და ისტორიის ქვეყანაა, რომელიც მუდამ იდგა და დღესაც დგას მსოფლიოს ცივილიზებული ერების გვერდით. საქართველოს თავისი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

შესაბამისად, ჩვენ დღესაც ჩართულები ვართ იმ გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა წინაშეც დგას დღეს მთელი კაცობრიობა. ჩამონათვალი, სამწუხაროდ, დიდია: კონფლიქტები, ტერორიზმი, მიგრაციული კრიზისი, ლტოლვილთა პრობლემა, კლიმატის ცვლილება, სიღარიბე, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, – ეს ის პრობლემებია, რომლებთან გამკლავებაც დიდ ძალისხმევასა და ურყევ პოლიტიკურ პოზიციას მოითხოვს გაეროსგან, მისი თითოეული წევრი ქვეყნისგან. ამ გამოწვევათა დაძლევა გვჭირდება ყველას, თითოეულ ჩვენგანს, რათა მსოფლიო გავხადოთ უკეთესი.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული ინტერესების დაცვა ურთიერთპატივისცემით უნდა ხდებოდეს და არავითარ შემთხვევაში – ერთმანეთის ხარჯზე.

სწორედ ამ კონტექსტში მინდა გამოვეხმაურო ამ გენერალური ასამბლეის თემას და განვაცხადო, – მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საერთო მიზნის მიღწევის საქმეში, მშვიდობიანი, მდგრადი, სამართლიანი საზოგადოებების განვითარებისთვის და ხელი შევუწყოთ ამ პროცესში გაეროს როლის გაძლიერებასა და მისი მიზნების უკეთ შესრულებას.

ძვირფასო კოლეგებო,

100 წლის წინათ დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებით საქართველომ თავისი ცივილიზაციური არჩევანი კიდევ ერთხელ დაადასტურა და ამით ჩვენი ერის მომავალი განსაზღვრა ჩვენი ადგილი საერთო ევროპულ ოჯახშია.

ეს არჩევანი დღესაც უცვლელია, ეს გახლავთ ევროპული იდენტობის დამადასტურებელი კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი.

საქართველო თავისი ღირებულებებით, თავისი შეტანილი წვლილით ყოველთვის იყო ევროპის ორგანული ნაწილი და დღესაც ევროკავშირთან წარმატებული თანამშრომლობით განაგრძობს ამ გზაზე წინსვლას.

* * *

100 წლის წინათ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მის კონსტიტუციას სწორედ ის ღირებულებები და პრინციპები დაედო საფუძვლად, რომლებიც დღემდე აქტუალური და პროგრესულია.

ამის დასტურად მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ – 100 წლის წინანდელ საქართველოს მრავალპარტიულ პარლამენტში უკვე წარმოდგენილი იყო 5 ქალი, რაც იმდროინდელი დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც კი დიდი იშვიათობა გახლდათ.

სწორედ ასეთ დიდ მოვლენას, დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილეს აღნიშნავს წელს ჩემი ქვეყანა, რომელმაც 27 წლის წინათ აღიდგინა დამოუკიდებლობა და თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს შენება დაიწყო. ეს თითქოს ისტორიისთვის ცოტაა, მაგრამ, ბევრია იმ ქარტეხილებისთვის, რომელთა გადატანაც ჩვენს ახალგაზრდა დემოკრატიას მოუწია. დღეს ქართული სახელმწიფო ზუსტად იმ ღირებულებების მემკვიდრე და გამგრძელებელია, რომლებსაც საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

პროგრესი, რომელსაც საქართველომ უკანასკნელ წლებში მიაღწია დემოკრატიის კონსოლიდაციის, ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის განმტკიცების მიმართულებით, ერთმნიშვნელოვნად ქვეყანაში განხორციელებული ძირეული ცვლილებებისა და რეფორმების შედეგია.

**ძლიერი პარლამენტი, ზეპარტიული პრეზიდენტი, დამოუკიდებელი სასამართლო, ეფექტიანი მთავრობა არის იმ ისტორიული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგი, რომელიც წარმატებით განვახორციელეთ – ქვეყანა ამ ცვლილებებით სწორედ ევროპულ საპარლამენტო მმართველობაზე გადადის.**

**ჩვენთვის ქვეყნის განვითარების ამოსავალი წერტილია თავისუფალი ადამიანი და მის მიერ შექმნილი ადამიანური კაპიტალი. განათლების სფეროს ამბიციური რეფორმა, განათლების სისტემის მოდერნიზაცია კიდევ ერთი გარღვევა იქნება იმ მთავარი გამოწვევის გადასაჭრელად, რომელიც დღეს დგას ჩემი ქვეყნის წინაშე. მხოლოდ განათლებული, მოტივირებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდობა მოიტანს პროგრესს, დაძლევს სიღარიბეს და საქართველოს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვში.**

მცირე ზომის და მოქნილ მთავრობას აბალანსებს ძლიერი საჯარო ინსტიტუციური კონტროლის მექანიზმები და სამოქალაქო საზოგადოება, რაც ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნით გაეროს მიერ განსაზღვრული გეგმის მე-16 პუნქტის მიხედვით ჩვენს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

გასულ წელს საქართველოს არჩევა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარედ ჩვენ მიერ განხორციელებული რეფორმების ერთმნიშვნელოვანი აღიარებაა და კონკრეტული შედეგების მომტანია ჩვენი საზოგადოებისთვის.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ღირსების დაცვა ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია. ამ კუთხით უკანასკნელ წლებში საქართველო გახდა ლიდერი რეფორმატორი ქვეყანა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ჩვენ დავძლიეთ უმძიმესი გამოწვევა, რომელიც პენიტენციურ სისტემაში დაგვხვდა. დღეს თვალსაჩინო პროგრესი გვაქვს ციხეებში პატიმართა უფლებების დაცვის მხრივ.

ჩვენ გავატარეთ მნიშვნელოვანი რეფორმები სასამართლო სისტემაში, რომელსაც ვაგრძელებთ და დაგეგმილი გვაქვს რეფორმის შემდეგი ეტაპი.

ჩვენი პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი გახლავთ მედიის თავისუფლება და მედიაპლურალიზმი. 2018 წელს მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველომ პოზიციები კიდევ უფრო გაიუმჯობესა. განსაკუთრებული მიღწევები გვაქვს ინტერნეტის თავისუფლების კუთხითაც.

დემოკრატიის მშენებლობის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებას განმსაზღვრელი როლი აქვს, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, მით უფრო ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში, ქვეყნის ჰარმონიული განვითარება შეუძლებელია. ჩვენი სურვილია ქვეყანაში ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი, ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება.

მდგრადი განვითარების პოლიტიკის ჩარჩოებში ჩვენ პრიორიტეტად განვსაზღვრეთ მწვანე პოლიტიკა და მწვანე ეკონომიკა.

ამასთან ერთად ვავითარებთ ციფრულ ეკონომიკას, რომელიც თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს ქვეყანას.

**ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია ეფუძნება ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას, ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც აისახება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე. ჩვენ ვართ წარმატებულები ამ სტრატეგიის რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს საქართველოს გადაქცევას რეგიონის ეკონომიკურ, ტურისტულ, ლოგისტიკურ და საგანმანათლებლო ცენტრად. ამას ცხადყოფს ჩვენი მოწინავე პოზიციები წამყვან საერთაშორისო რეიტინგებში.**

ჩვენი ქვეყნის უნიკალური გეოგრაფია, სტრატეგიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ცივილიზაციათა შეხვედრის, კულტურათა დიალოგის მიმზიდველ ადგილად ხდიდა. ჩვენ დღესაც ვასრულებთ ამ ფუნქციას და შესაბამისად, ვახორციელებთ ამბიციურ და საპასუხისმგებლო პროექტებს.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ამ ტრიბუნიდან მივმართეთ მსოფლიოს და შევთავაზეთ „აბრეშუმის გზის ფორუმის“ ჩატარება საქართველოში. ჩვენ ეს ფორუმი არა მარტო რეალობად ვაქციეთ, არამედ ამით საქართველომ დაიბრუნა ისტორიული როლი აბრეშუმის გზის დიდ რეგიონში.

დღეს კი მსურს, ახალი ინიციატივით გამოვიდე და შემოგთავაზოთ „თბილისის ფორუმის“ ჩატარება, რომლის მთავარი მიზანი იქნება შავი ზღვის რეგიონი და კავკასია, რომელიც დღეს დაპირისპირებისა და გამოწვევების არეალია – გადაიქცეს მშვიდობის, თანამშრომლობის და განვითარების სივრცედ.

საქართველოს ყველა მიღწევა, დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება, რეგიონში ლიდერის პოზიცია მრავალი მიმართულებით, სწორედ ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის შედეგია, რაც კონსტიტუციითა და პარლამენტის შესაბამისი რეზოლუციით გახლავთ გამყარებული.

**დინამიკური და ყოვლისმომცველი გახდა ნატო-საქართველოს ურთიერთობები. საქართველო ნატოს ასპირანტი ქვეყანაა, იგი გახლავთ ალიანსის „გაზრდილი შესაძლებლობების პარტნიორი“ და ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ავღანეთში ნატოს მისიაში, რითაც საქართველოს თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიოში უსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცების თვალსაზრისით.**

მოგეხსენებათ, რამდენად შემაშფოთებელია საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხე, რომელიც დღეს გაცილებით დიდი და ფაქტობრივად ყოვლისმომცველია, ვიდრე ოდესმე. ტერორიზმი 21-ე საუკუნეში ყველასთვის საერთო მტერია. ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო იდგა და ყოველთვის იდგება საერთაშორისო საზოგადოების გვერდით. სამწუხაროდ, მრავალი რჩეული ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა ამ გლობალურ ბრძოლას.

ყველა ვთანხმდებით, რომ ტერორიზმთან ბრძოლა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობის გაზიარებით არის შესაძლებელი, ისევე, როგორც მისი პრევენცია და მასზე ადეკვატური რეაგირება. მე მჯერა, რომ საერთაშორისო ძალისხმევით ჩვენ დავამარცხებთ ამ საერთო გამოწვევას.

* * *

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს სატკივარი არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემა.

2008 წელს საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესია მსოფლიოს მიერ მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის პრობლემად იყო აღქმული.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ უკრაინაში გამოაჩინა, რომ მაშინდელი მსოფლიო თანამეგობრობა არ აღმოჩნდა მზად, შესაბამისი შეფასება და რეაგირება მიეცა ამ აგრესიისთვის.

სამწუხაროდ, გაერო არაეფექტური აღმოჩნდა ამ გამოწვევების წინაშე. მეტიც, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს გლობალური უსაფრთხოების სისტემური ეროზია. დღევანდელ მსოფლიოს სჭირდება უფრო ძლიერი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

დღეს მსოფლიო საზოგადოება საჭიროებს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც შეძლებენ, არსებულ გამოწვევებს მისცენ კონკრეტული შეფასება, მოახდინონ ადეკვატური რეაგირება და ასევე იმ რისკების პრევენცია, რომლებიც ძირს უთხრის გლობალურ უსაფრთხოებას.

მოგეხსენებათ, გაეროს რეფორმირების საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოდის, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საქმეში სერიოზულ წარმატებებზე ვერ ვისაუბრებთ. ამიტომაც, გაეროს რეფორმირების საკითხი კვლავ აქტუალურია და ვფიქრობ, სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს.

დღეს, როდესაც მსოფლიო ახალი ეპოქის გამოწვევებისა და ჯერ კიდევ უცნობი პრობლემების წინაშეა, თითოეული ჩვენგანის და ყველასი ერთად ამოცანაა, ვიზრუნოთ და ერთობლივად გადავლახოთ გლობალური გამოწვევები იმისთვის, რომ მშვიდობიანი და უკეთესი მსოფლიო დავუტოვოთ მომავალ თაობებს!

დიდი მადლობა!“

# ლევან დავითაშვილი შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკაში ულრიკ თიდესტრომს შეხვდა.**



გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ლევან დავითაშვილმა ვრცლად ისაუბრა შვედეთის სამეფოს მიერ გარემოსდაცვითი მიმართულებით გაწეული მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობის შესახებ და ყურადღება ნარჩენების მართვის, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე გაამახვილა.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მწვანე ეკონომიკის განვითარება ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ულრიკ თიდესტრომის განცხადებით, საქართველოს გარემოსდაცვითი განვითარების კუთხით სწორი ხედვა გააჩნია. დაადასტურა შვედეთის სამეფოს სრული მხარდაჭერა და სამომავლოდ მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

# სოფო კილაძემ პარლამენტში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის დელეგაციას უმასპინძლა

**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე საქართველოში სტუმრად მყოფ ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის დელეგაციას შეხვდა.**

შეხვედრაზე საქართველოში სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა უფლებრივი



მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს, აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე იმსჯელეს.

**„საქართველო არის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტული ტრადიციებისა და კულტურის მქონე მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფო. რელიგიური მრავალფეროვნება და საზოგადოების მაღალი რელიგიური თვითიდენტიფიკაცია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორია. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას. ჩვენი კომიტეტი იღვწის, რომ ეს უფლება სრულად იქნას დაცული ნებისმიერი ადამიანის მიმართ, მიუხედავად მისი რელიგიური კუთვნილებისა, მიუხედავად იმისა, თუ რა ობიექტური ან სამართლებრივი მდგომარეობა უჭირავს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც კონკრეტული პირი მიეკუთვნება“,** – განაცხადა სოფო კილაძემ.

# საქვეუწყებო დაწესებულებები სამინისტროების დაქვემდებარებაში გადავა

**28 სექტემბერს აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით მორიგი მთავრობის სხდომა გაიმართა.**

სხდომაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მმართველობის სფეროში მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების დაქვემდებარება.

**„მცირე მთავრობის კონცეფციის ფარგლებში გრძელდება სტრუქტურული ცვლილებები. მიღებულია გადაწყვეტილება მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებებთან დაკავშირებით და გვაქვს შემდეგი მოცემულობა:**

**გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი ისევე როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი დაექვემდებარება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საარქივო სამმართველო გადადის განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, ხოლო გარემო და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველო – სოფლის მეურნეობის სამინისტროში“,** – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი არის აჭარის ა.რ. კონსტიტუციის მოთხოვნის პირველი ეტაპი და ახლო კავშირში არის აჭარის ა.რ. მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების კანონთან.



# საგარეო ვალმა 17.4 მლრდ დოლარი შეადგინა

**საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 17.4 მლრდ აშშ დოლარი (42.7 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 108.7 პროცენტია. 2018 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 346.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, აქედან, საკურსო ცვლილებების გამო – 242.4 მლნ აშშ დოლარით, ოპერაციული ცვლილებების გამო – 66.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო ფასის ცვლილებების გამო ვალი 49.5 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა. ამავდროულად, სხვა ცვლილებების გამო ვალი 11.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.**




სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 7.2 მლრდ აშშ დოლარი (17.7 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 45.0 პროცენტია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.2 მლრდ აშშ დოლარი (12.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 32.3 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 330.6 მლნ აშშ დოლარი (810.5 მლნ ლარი; მშპ-ს 2.1 პროცენტი). საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 3.8 მლრდ აშშ დოლარი (9.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 23.6 პროცენტი), სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 5.6 მლრდ აშშ დოლარი (13.8 მლრდ ლარი; მშპ-ს 35.1 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა – 2.5 მლრდ აშშ დოლარი (6.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 15.7 პროცენტი). მთლიანი საგარეო ვალის 90.6 პროცენტი დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 10.5 მლრდ აშშ დოლარი (25.7 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 65.3 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 4.2 მლრდ აშშ დოლარია (10.2 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 26.0 პროცენტია.

2018 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 31.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

# აქუბარდიამ და ცინცაძემ – საქართველოს გადარჩენისთვის ნანატრი გზა გვაპოვნინეს!

**ვნახე, მაგრამ რა ვნახე?!**

ჩემდა უნებურად ჯერ ყური მომტაცა და მერე ორივე თვალიც ზედ მიიყოლა „კავკასიის" ეკრანზე აქუბარდიასა და ცინცაძის ბოლო დიალოგმა. ამ ორი სისხლმჩქეფარე პოლიტიკოსის დიალოგი ბევრჯერ, უფრო სწორად, ხშირად მომისმენია და ყოველთვის „მშვიდობიანი" ჩხუბით დამთავრებულა, მაგრამ ამჯერად უკვე შეხმატკბილებულად ჟღურტულებდნენ საქართველოს ამჟამინდელ გაუსაძლის (უჟანგბადო) მდგომარეობაზე.

პირველი, რაც ამ დიალოგით აღმოვაჩინე ის არის, რომ თურმე ამ ორი ადამიანის გარდა, საქართველოში ნამდვილი პოლიტიკოსები არა გვყოლია, ანუ როგორც მოცარტი დაიბადა უბადლო კომპოზიტორად ან გალაკტიონი უბადლო პოეტად, ანდა კიდევ პიკასო უბადლო მხატვრად; აი, ასეთი დაბადებით პოლიტიკოსი, შესაძლოა შევარდნაძე იყო, მაგრამ ისიც ისე, რა!

აი, სოსიკო ცინცაძე და დათუნა აქუბარდია, ცხადია, თავის ცოლთან ერთად, პოლიტიკოსებად და პოლიტიკისთვის ყოფილან დაბადებულნი.

ცოტა რამ დიალოგიდან:

**– იცი, ჩემო სოსო, საქართველოს ამჟამინდელი ტრაგედიის სათავე რა არის? – ეკითხება აქუბარდია.**

**– აბა, ჯერ შენ მითხარი, ჩვენი აზრები დაემთხვევა თუ არა? – კითხვას უბრუნებს ცინცაძე.**

**– რა არის, ჩემო სოსო და ის არის, რომ ჩვენს მთავრობაში კომპეტენტური ხალხი არა გვყავს, ყველა ივანიშვილს მისჩერებია!**

**– დაახლოებით მეც ეგ უნდა მეთქვა, ივანიშვილი ცუდი ბიზნესმენი არა ჩანს, მაგრამ, რა ვქნა, პოლიტიკოსობას ვერ დავაბრალებ. სწორედ ამ მიზეზით არის არასწორად შერჩეული მთავრობაც და პარლამენტიც.**

**– რახან პარლამენტი ახსენე, თვალწინ დამიდგა კობახიძე, შეიძლება რომ ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ჯერ ორმოცისაც არ არის, ლაპარაკის დროს სახეზე ემოცია არ ეტყობოდეს?**

**– შენ სხვა რამე მითხარი, თორემ იმის უემოციობას კიდევ აიტანს კაცი, ნამდვილად სწორს ამბობს სიმონ მასხარაშვილი, ჭკვიანი სულელი სჯობიან, სულელ ჭკვიანსაო (ხედავთ, რას მოვესწარით?! მასხარაშვილის ციტირებას ახდენს პოლიტიკოსად დაბადებული ჩვენი სოსიკო – ავტ.).**

**– ისე, ჩვენში დარჩეს, სულელი ჭკვიანი და ჭკვიანი სულელი ვითომ ერთი და იგივე არ არის?!**

**– ფილოსოფიურად ულრმავდება საკითხს ნახევრად წამოწოლილი აქუ-პოლიტიკოსი.**

**– გაჩანაგებული ეკონომიკის ფეხზე დაყენება უნდათ მარიხუანით...**

**– ხო, ხედავ, სულ გამოშტერდნენ ეს „ოცნების" მესვეურები. არა, ძმაო, ამათგან არაფერი არ გამოვა!**

**– როგორ შეიძლება, პარლამენტის უმრავლესობა ერთ აზრზე იყვეს, აი, 70 პროცენტს ჭიჭინაძისთანა დეპუტატები რომ წარმოადგენდნენ, კიდევ მესმის. ასეა თუ ისე, იღუპება საქართველო.**

**– აშკარაა, მარტო ჩვენ თუ ვუშველით (არ ვიცი, ხალხს გულისხმობდნენ, თუ მარტო საკუთარ თავს – ავტ.) ნამდვილად მართალია მასხარაშვილი...**




ჟღურტულით იცოცხლეთ, კიდევ ბევრი იჟღურტულა ამ ორმა „ბრძენკაცმა", მაგრამ ვერ მივხვდი, მასხარაშვილის „აფორიზმში" ვის გულისხმობდნენ ჭკვიან-სულელად და სულელ-ჭკვიანად, თავიანთ პოლიტიკურად გადატვირთულ თავებს რომ არ გულისხმობდნენ, ცხადია!

ერთ ფრიად „საქვეყნო აზრს" კი მკაფიოდ მივხვდი: საქართველოს ხსნა და გადარჩენა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და სოციალურად თვალწინ დამიდგა. ამ წელში გადატეხილ ქართველობას მართლაც რა ჭირად და რა შავ ქვად გვინდა ამდენი მთავრობის წევრი, 150-კაციანი პარლამენტი, უხვმრჩევლიანი პრეზიდენტი და მინისტრებზე აღარაფერს ვამბობ, როცა ქვეყანაში გვყავანან აქუბარდია და ცინცაძე.

რა, ეს ორი დაბადებით ჭკუაგრძელი პოლიტიკოსი ბრძენკაცი, არ ეყოფა ვითომ ამ ერთ გამტკაველებულ ხელმოკლე საქართველოს თავკაცებად – ერთი პრეზიდენტად ან ხელმწიფედ, მეორე – ვიცე-პრეზიდენტად ან ვიცე-ხელმწიფედ?! ვფიქრობ, ძალიანაც ეყოფა, პირველ-მეორეობაში, ალბათ, თვითონვე მორიგდებიან.

წარმოგიდგენიათ, ასეთი გაუგონარი ყაირათიანობის დროს რა გეომეტრიული სისწრაფით გაგვეზრდება ქვეყნის ბიუჯეტი, რითაც საბოლოო ჯამში, საქართველო, სიმდიდრის თვალსაზრისით, მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება – ძირფესვიანად მოისპობა უმუშევრობა, გაიზრდება ხელფასები და პენსიები, სიღარიბე ზღაპრებშიღა თუ შემოგვრჩება.

აღარც ამდენი საინფორმაციო დაგვჭირდება ათასი სისულელის მაუწყებლად. იქნება მხოლოდ ერთი „კავკასია", რომელსაც უკვე გვარამია-ვარამია-არამიასავით გენერალურად აქუს თანამეცხედრე და ამ ორი „ბრძენკაცის" პოლიტიკური მრჩეველი თვალმწყაზარი ნინო ჯანგირაშვილი ეყოლება, იმ წმინდა ნინოს ჭეშმარიტი სეხნია, რომელსაც დამნაშავე ნაციონალების მხარდასაჭერად უკვე დრო აღარ დარჩება. თუმცა ნაციონალები, როგორც ბევრი სხვა პარტია, ჩვენი უახლოესი ისტორიის ფურცლებსღა შემორჩებიან რამდენიმე სამარცხვინო სტრიქონით, ისიც სქოლიოში.

ამდენი ათასწლეული კი ველოდით, მაგრამ როგორც ჩანს, უფლის ნებით, მაინც მოგვევლინა ის ორი გმირი, ვინც ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო უნდა გადაგვირჩინოს.

განი! გზა მიეცით ჩვენთა მხსნელთ!

მაშ, ყველამ ერთად შევასხათ ხორცი ამ ჭეშმარიტად უდიდეს ქართულ იდეას!

მჯერა, მჯერა, მჯერა, რომ არ გვიმტყუნებს არც ჩვენი ძვირფასი პოლიტიკური ანალიტიკოსი სოსიკო და არც მრავალი საუკუნის იქით გადამჭვრეტელი აქუ!

როგორც იქნა, ვიპოვეთ გადარჩენის ნანატრი გზა!

ნუ შეგვეშინდება ესოდენი სახელმწიფოებრივი შეკუმშვისა, მხოლოდ ორი ბრძენკაცის იმედად დარჩენისა, რადგან სულ მალე თანდათან მთელი კაცობრიობის გასაოცრად გავიშლებით და გავმდიდრდებით!

როგორც კომუნისტების თვალში ეკლად ჩავარდნილი და იმათგან ხელამოუსმელი გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, მარჯი და კიდევ მარჯი ამ ორი თავგადადებული მამულიშვილის ამირანობას!

**მთელი ქართველობის სახელით**
**წინასწარ მადლობას ვეუბნები**
**გურამ წიკლაური**

## ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ავუხსენი, როგორ არაევროპულად იქცევიან ჩემი ოპონენტები

– ამის შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოპონენტები ბევრს ლაპარაკობენ ევროპაზე და თავიანთი პარტიის დასახელებაშიც ევროპა ფიგურირებს, მაინც ვერ გაიგეს, რას ნიშნავს ევროპული სტილის კამპანია.

**„დიდი იმედი მაქვს, ეს ქვეყანა მაინც გადავა ევროპულ კამპანიაზე და არა მხოლოდ კამპანიაზე, არამედ ევროპულ მენტალიტეტზე, ამდენი აგრესიითა და სიძულვილით არ კეთდება საქმე",** – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. სალომე ზურაბიშვილი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ გეერტ არენს შეხვდა.

## ყველამ ძალიან კარგად იცის, საიდან მოდის, სად მუშაობდა

ჟურნალისტებმა ზურაბიშვილს კითხვა დაუსვეს სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, სადაც გრიგოლ ვაშაძე ამბობს, რომ ის არის რუსული კულტურის ნაწილი:

**„თქვენ გინდათ, მათქმევინოთ არაევროპული კამპანიის განცხადებები. თავად ამბობს კაცი, რაც არის. ყველამ ძალიან კარგად იცის, საიდან მოდის, სად მუშაობდა, ეს არის ფაქტები. ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს არჩევანი და გადაწყვეტილება მიიღოს, არა იმიტომ, რომ მე ვინმეს რამეს დავაბრალებ. მე არავის არაფერს ვაბრალებ, რასაც თვითონ არ იბრალებენ",** – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# რამდენს ხარჯავენ არჩევნებისთვის?!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, 2 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით, პოლიტიკურმა სუბიექტებმა სულ 830 838 ლარი დახარჯეს.

ალნიშნულ პერიოდში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" 344 6180 ლარი დახარჯა, „ევროპულმა საქართველომ" – 198 631 ლარი, პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 73 457 ლარი, მოძრაობამ „თავისუფალი საქართველოსთვის" – 48 226 ლარი, დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა – 29 742 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" – 26 516 ლარი, მოძრაობამ „სახელმწიფო ხალხისათვის" – 21 046 ლარი, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" – 19 241 ლარი, „სამოქალაქო პლატფორმამ – ახალი საქართველო" – 17 253 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" – 7 453 ლარი, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა" – 7 024 ლარი, „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზამ" – 7 014 ლარი, „ახალმა ქრისტიან-დემოკრატებმა" 5 335 ლარი, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ" – 4 968 ლარი, დამოუკიდებელმა კანდიდატმა ბესარიონ თედიაშვილმა – 4 610 ლარი, „თავისუფალმა დემოკრატებმა" 4 481 ლარი, „გირჩმა" – 4 401 ლარი, „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურმა მოძრაობამ" 3616 ლარი, „თავისუფალმა საქართველომ" 3 006 ლარი, ხოლო პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა კახაბერ ჭიჭინაძემ – 200 ლარი.




ალნიშნულ პერიოდში ზემოთ ალნიშნული ხარჯებიდან პოლიტიკურმა სუბიექტებიდან რეკლამაზე სულ 499 412 ლარი დახარჯეს, მათგან „ნაციონალურმა მოძრაობამ" - 312 210 ლარი, „ევროპულმა საქართველომ" – 158 875 ლარი,სალომე ზურაბიშვილმა - 17 173 ლარი, „ახალმა საქართველომ" – 2 643 ლარი და ა. შ.

ამასთან, აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პოლიტიკურმა სუბიექტებმა სამივლინებოდ ალნიშნულ პერიოდში სულ 34 415 ლარი დახარჯეს, მათ შორის პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 12 250 ლარი, სალომე ზურაბიშვილმა – 2 210 ლარი, „ლეიბორისტულმა პარტიამ" – 840 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ" - 3000 ლარი, „თავისუფალმა დემოკრატებმა" – 415 ლარი და ა.შ.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, ალსანიშნავია, რომ 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სალომე ზურაბიშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას" შრომის ანაზღაურებაზე არც ერთი ლარი არ დაუხარჯავს, „ევროპულმა საქართველომ" 13 650 ლარი დახარჯა, პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 59 463 ლარი, მოძრაობამ „თავისუფალი საქართველოსთვის" – 20 575 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" – 1 250 ლარი, „ლეიბორისტულმა პარტიამ" – 42 085 ლარი, „ახალმა საქართველომ" – 13 513 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ" – 3 750 ლარი, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ" – 3 750 ლარი და საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურმა მოძრაობამ" – 1 800 ლარი.

ალსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცნობით, 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში სხვა შემოსავლების სახით შემოსავალი უფიქსირდება მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" – 77 600 ლარის ოდენობით.

შეგახსენებთ, რომ ალნიშნულ პერიოდში პარტიებმა შემოსავლის სახით სულ 1 159 205.00 მიიღეს.

# ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს კართაგენი!



**საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, თქვენ წარმოიდგინეთ და საკმაოდ ინტელექტუალური ნაწილი, ამრეზით უყურებს საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასული პოლიტიკური სუბიექტის პოტენციურ შესაძლებლობებს და თვლის, რომ პირველ ადგილზე „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილი გავა. გავა და ნაციონალური მოძრაობა თავისი ნასხლეტი ევროპული საქართველოთი პოლიტიკურ ცხოვრებას დაასრულებს.**

კი ბატონო, ყველამ კარგად ვიცით ქალბატონი სალომეს დამოკიდებულება სააკაშვილ-ბოკერიას „მოღვაწეობისა“ და მათი რეჟიმის მიმართ. ვიცით, რომ ის მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა და ვერანაირი კოჰაბიტაცია, ვერანაირი აფერისტული სვლები, ამ დამოკიდებულებას ვერ შეაცვლევინებს.

ეს კარგად იციან იმ არამზადებმაც და მთელი თავიანთი პიარ-კამპანია სწორედაც რომ სალომე ზურაბიშვილის არა შავ პიარზე, არამედ ლანძღვაზე ააგეს.

სწორედ ამ ლანძღვაზე აგებული ვიდეორგოლების განთავსების გამო, რამდენიმე ტელეკომპანიამ მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სარჩელის შეტანა გადაწყვიტა და ხმაურიანი განცხადებებიც გააკეთა.

გთავაზობთ ამონარიდს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის განცხადებიდან: **კომისია კატეგორიულად არ იზიარებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ განცხადებას იმის თაობაზე, რომ კომისიის წერილი შეიცავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.**

**კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის გასაგებია, როდესაც კანონშეუსაბამო განმარტებებსა და შეფასებებს პოლიტიკოსები საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ, თუმცა გაუგებარია, რას ემსახურება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთებული მსგავსი განცხადებები.**

**აუცილებლად მიგვაჩნია, დეტალურად განვმარტოთ კანონის ყველა მუხლი, რომ საზოგადოების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანა არ მოხდეს.**

**სამაუწყებლო რეკლამის საკითხები, რომლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს პოლიტიკური რეკლამა, რეგულირდება საქართველოს კანონით „მაუწყებლობის შესახებ“. აღნიშნული კანონით იკრძალება არასათანადო და არაეთიკური რეკლამის განთავსება. შესაბამისად, მაუწყებელმა, როგორც რეკლამის გამავრცელებელმა, არ უნდა დაუშვას არასათანადო და არაეთიკური რეკლამის ეთერში განთავსება - საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ 63-ე მუხლის მეორე პუნქტი.**

**ერთ-ერთ სარეკლამო ვიდეორგოლში პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ გამოყენებულია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი და შედარება, ის მოხსენებულია, როგორც სამშობლოს მოღალატე, ამდენად, აღნიშნული სარეკლამო რგოლები წარმოადგენენ არასათანადო და არაეთიკურ რეკლამას, რომლის განთავსება აკრძალულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და კავშირში არ არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან.**

**ერთ-ერთი სარეკლამო ვიდეორგოლი შეიცავს უხამსი შინაარსის გამონათქვამს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იკრძალება ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.**

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თავის განცხადებაში ასევე მიუთითებს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი აწესებს პროგრამულ შეზღუდვებს, კანონმდებლობით მის დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, ამასთან, დაუშვებელია ამ ნორმასთან დაკავშირებით თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება.**

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ აღნიშნული შეზღუდვა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით: — „ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“.**

სრულად ვეთანხმები მარეგულერილებლის ამ განცხადებას. ვეთანხმები რადგანაც ყველამ კარგად იცის, რომ ნაციონალური მოძრაობა და ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“, რომლებიც გიგა ბოკერიას „მსოფლმხედველობის“ გავრცელების მედროშენი და საზარბაზნე ხორცნი არიან, არ თვლიან სიტყვა „მოღალატეს“ ღირსების შემლახვად, არ თვლიან ბულინგად უცხოური აქცენტის გამო ადამიანის დაცინვას, არ თვლიან სპორტულ ფორმაში მოვარჯიშე ქალბატონის შეურაცხყოფას, ქალზე ძალადობად და პარალელურ რეჟიმში ლიდერად ჰყავთ რუსული კგბ-ს ოფიცერი გრიგოლ ვაშაძე, ხოლო მთავარ იდეოლოგად ყოველგვარი დემოკრატიული პრონციპების დამრღვევი და ევროპული ღირებულებების დამახინჯებული ფორმით წარმომჩენი, ანუ საქართველოში რუსული პროპაგანდის მთავარი განმახორციელებელი გიგა ბოკერია, დღეს „საუბრობენ“ სიტყვისა და რეკლამის თავისუფლებაზე.

მათი პიარ-კამპანიიდან ასევე ნათლად ჩანს ის თავხედობა, რაც სისხლში აქვთ და რასაც მიუხედავად დაანონსებული „რებრედინგისა“, მუდამ იჩენს თავს.

წარმოიდგინეთ და ერთ-ერთ თემად გაყალბებული სიები წამოწიეს.

ამასთან დაკავშირებითაც ერთი ანეკდოტი გამახსენდა:

ორი ვაკელი გოგონა პლაჟზე დაინახავს ძალიან ბანჯგვლიან ტიპს:

— ნაწიკ, ნახე მაიმუნიიი!

— გაჩუმდით, თქვენი დ.დ.შ!!!

— ნაწიკ, ნახე, ლაპარაკობს...

წარმოგიდგენიათ, რომ გიგა ბოკერია სიებზე ლაპარაკობს! დიახ, ბოკერია გაყალბებულ სიებზე ლაპარაკობს.

„ევროპული საქართველო“, რომელიც სხვა „სიკეთეებს“ თავი რომ დავანებოთ, არის ელემენტარულად თაღლითი ორგანიზაცია, რომელიც რაღაც ევროპული „უფროსის“, გიგი წერეთელის მიერ შექმნილი ყალბი „პარტიის“ სახელით დარეგისტრირდა, მოატყუა ნაცები, შეძვრა პარლამენტში და დღეს არა მხოლოდ ჭკუას გვარიგებს და პრეზიდენტობის კანდიდატი ჰყავს, არამედ უზარმაზარ ფულს ხაფავს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან!

გიგა ბოკერია, რომელიც ამ თაღლითური სქემის შემსრულებელი ბანდის ერთ-ერთი მეთაურია, საქართველოს კანონმდებელია!

შოთა მალაშხიამაც, თავისი ერთკაციანი „პარტია“ (დამისახელეთ მისი პარტიის 5 წევრი და საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს) გააქირავა მუდმივად სიაში ყოფნის და ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების მიღების მიზნით, არის გაქნილი თაღლითი!

აი, ეს ფარმაზონები რაღაც პრეტენზიებს გამოთქვამენ!

რად უნდა ამას ამდენი „ბალალაიკა“. დაიწყეთ გიგი წერეთლიდან, რა მიზნით შექმნა პარტია, პრინციპულად გამოკითხეთ მალაშხია, ნახეთ მათი „პოლიტიკური მოღვაწეობა“, ანუ გაკეთებული საქმეები, ნახეთ, რა ფინანსური სარგებელი მიიღეს ამ საკმაოდ კარგად გათვლილი აფერისტული სქემიდან!







მე რომ ბიუჯეტი 20 თეთრით ვაზარალო, სისხლს ამომიღებენ.

თაღლითობა და ნაკლებად ინფორმირებული ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა „ამსტერდამის დიდი ოპოზიციური გაერთიანება“, რომელშიც, თუ არ ვცდები, ნაცების გარდა ცხრა პარტიაა, რომლებსაც ჯამში მაქსიმუმ 12 წევრი ჰყავთ.

შეიძლება თავი მოგაბეზრეთ კიდეც, მაგრამ მუდამ გავიმეორებ: **კართაგენი უნდა დაინგრეს!**

დამერწმუნეთ, რომ კართაგენი არ დაინგრევა მანამ, სანამ ჰანიბალის ჯარისკაცები რომში არიან, არ დაინგრევა მანამ, სანამ რომის სენატში მისი სატელიტები სხედან და თუ სენატორებს, პატრიციებს და კონსულებს რაღაც კოჰაბიტაციის გამო არ სურთ ჰანიბალის დამარცხება, ეს მისია რომაელმა ხალხმა თავის თავზე უნდა აიღოს.

ვერასდროს მოვიშორებთ ბოკერიასააკაშვილის ნასხლეტებს პოლიტიკური ველიდან. ვერ მოვიშორებთ, თუ ვიქნებით ზარმაცი კაცის პოზიციაში, რომელიც ფიქრობს, რომ არჩევნები მისი საქმე არ არის. რომ „იქ, სადღაც ზევით“ ყველაფერი გადაწყვეტილია და მთავარია, მმართველი ძალის მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაიმარჯვოს.

კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა, რომ პრეზიდენტის უფლებები გაცილებით უფრო შეზღუდულია, ვიდრე მეორე პოლიტიკური ძალის და მთავარი ოპოზიციური პარტიის.

შეზღუდულია, რადგანაც თუ ევროპული, ცივილური და ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება გვსურს, უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც, რომ გარკვეული პროცენტული მაჩვენებლის მქონე პარტია, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, არის მოქმედი და მოსახლეობის მეორე, შედარებით მცირე ნაწილის ინტერესების გამომხატველი. რომ საერთაშორისო სტრუქტურები თუ ორგანიზაციები ამ პარტიას უფრო „შინაურულად“, უფრო ახლოს ელაპარაკებიან, ვიდრე პრეზიდენტს და უფრო თავისუფლად შეუძლია, დააფიქსიროს თავისი გაბუქებული აზრი ქვეყანაში არსებული პრობლემების მიმართ, ვიდრე სახელმწიფოს პირველ პირს.

მეორე ადგილზე გასული პოლიტიკური ძალა მუდამ ეტყვის ამომრჩეველს — აი, მე, რომ აგერჩიე, პენსიაც გაგეზრდებოდა, ჩინოვნიკები კორუფციაში ვერ გაეხვეოდნენ, ფასები დაიკლებდა დ.ა.შ. აი, ხომ აირჩიეთ პრეზიდენტად მავანი, ჰოდა, პრობლემების შესახებ მას მოჰკითხეთ პასუხი.

არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ყოფითი საკითხების გადაწყვეტა, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობა არ არის. ვიცით, მაგრამ დესტრუქციული ოპოზიციური ძალები ამას ხმამაღლა არ იტყვიან. პირიქით, სრული ძალისხმევით, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ტრიბუნიდან შეუტევენ და დაამახინჯებენ არსებულ რეალობას (ამის მაგალითები უხვად გვაქვს. შემიძლია შეგახსენოთ გიორგი კანდელაკის ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები ევროსაბჭოს რეზოლუციებთან მიმართებაში, სადაც მან იმდენი „იჩალიჩა“, რომ საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციები მიიღეს. ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას შავი სათვალეებით დანახული ფორმით წარმოაჩენდნენ).

სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ამ არჩევნებზე ხალხის აქტიურობა. დიახ, „ქართული ოცნების“ ნაბიჯმა, მხარი დაეჭირა სალომე ზურაბიშვილისთვის, ასევე ნაცების ფორსირებულმა შავმა პიარმა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გული აუცრუა. გული აუცრუა იმ ფონზე, როდესაც წარსული წლების გამოცდილებიდან ვიცით, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ყველაზე ნაკლები აქტიურობით ხასიათდება და მასში მონაწილეობას მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებული ამომრჩეველი იღებს.

სწორედ ამის „დამსახურება“ იყო ის, რომ მეორე ადგილზე გასულმა ბაქრაძემ 20% მიიღო და მეორე ოპოზიციურ ძალად დაფიქსირდა. არადა, ამომრჩევლის აქტიურობის შემთხვევაში, ის რეალურ 7%-ს მიიღებდა და სრულიად შესაძლებელია, რომ მესამე ადგილზე გასულიყო.

**ხალხმა, სწორედაც ხალხმა უნდა დაანგრიოს „კართაგენი“. მიHას ნასხლეტებს უნდა აჩვენოს, რომ სურთ ნამდვილი ქართული, ცივილური, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ხალხმა უნდა უთხრას უარი შიშით გათანგულ უნიათო სენატორებისგან „გაბლატავებულ“ ჯაშუშებს, რომლებსაც ერთი სული აქვთ, რევანში აიღონ და რაც თავიანთი ზეობის პერიოდში ქართველ ხალხს დააკლეს, ახლა აინაზღაურონ...**



**გია გაბრიჭიძე**

# XX საუკუნის საქართველოს გმირი მეომრები და ანტიგმირები

**ბიბლია გვამცნობს (შესაქმე 6, 4): „გმირნი იყვნეს ქვეყანასა ზედა... იგინი იყვნეს გმირნი საუკუნეთაგან, კაცნი სახელოვანნი“.**

პლატონი დიალოგში „კრატილე“, სოკრატეს პირით გმირებს **„ნახევარღმერთებად“ მოიხსენიებს.**

**დიდი ფირდოუსი თავის „შაჰ-ნამეში“** გმირების საინტერესო დახასიათებას იძლევა. „შესავლის შემდეგ იწყება პირველი მეფის ქაიუმარსის ამბის გადმოცემა. იგი ცხოვრობდა მთათ და იმოსებოდა ვეფხის ტყავით. ვეფხის ტყავითვე იმოსებოდა აგრეთვე ყველა მისი ქვეშევრდომი... გმირის მოქმედება ბედისწერის განსაზღვრით ხდება, იგი ბედისწერას ემორჩილება... ფირდოუსი უდიდესი ოსტატია საგმირო ეპიზოდების დახატვისა.

**„მხედართა ფეხის მტვრითა და ქოსის ხმაურით**
**ჰაერი გაშავდა და მიწა გარკინდა**
(147 14).“

მთელი ეს ციტატები აღებული მაქვს წიგნიდან — დავით კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1975, გვ. 153-180.

გმირის აღწერისას ფირდოუსს ტოლს არ უდებს ჩვენი რუსთაველი.

**შევიდა მეფე ინდოთა, პირად მზე,**
**მსგავსი გმირისა (1540)“...**

— ამბობს იგი ტარიელზე. ხოლო ავთანდილს პოეტი ასე ახასიათებს: **„ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა (296)“.**

ამირან დარეჯანისძეზე, „ლომთა ლომზე“, **კორნელი კეკელიძე ასე წერს: „ამირანდარეჯანიანის“ სახით ჩვენ გვაქვს ნიმუში რაინდული, სადევგმირო რომანისა, რომელშიაც მოცემულია რაინდული სამსახურის, ჭაბუკის თვისებების კოდექსი და ხაზგასმულია ფიზიკური ძალ-ღონის, მამაცობისა და ვაჟკაცობის კულტი“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 84).**

მე-20 საუკუნის გამოჩენილი მწერალი და მებრძოლი ოფიცერი, ერნსტ იუნგერი (პირველ მსოფლიო ომში დაჯილდოვდა უმაღლესი ორდენით „მამაცობისთვის“, რომელიც ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდმა დააარსა და რომლითაც იმ დროს მხოლოდ 14 პირი იყო დაჯილდოებული ქვეითი ჯარის შემადგენლობიდან) თავის წიგნში **„ფოლადის ჭექა-ქუხილებში“ (ჰანოვერი, 1920)** გმირის შემდეგ დახასიათებას იძლევა: იგი არის **„ადამიანი, რომელმაც თითქმის ღვთაებრივი სრულყოფილების საფეხურს მიაღწია, მას ძალუძს უანგარო თავგანწირვა იდეალისათვის, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა...“** იუნგერისათვის გმირია აგრეთვე ყველა ანონიმური, უსახელო ჯარისკაცი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მასობრივ სისხლისღვრას შეეწირა, გმირები, რომლებზედაც აღარავითარი ცნობა აღარ მოიპოვება...

აღსანიშნავია, რომ თავად გმირმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა, საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის წლებში, ქართველი ჯარისკაცის შემხედვარემ, ერთობ მკაცრი დასკვნა გააკეთა — **„ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჟკაცობა წინაპრებისა“ (იხ. გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი 1990, გვ. 26).** მით უფრო სასიხარულოა, რომ გიორგი ანწუხელიძის მაგალითი და ყველა მათი, რომლებმაც, 1992 წლიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდის, საქართველოს ერთიანობას თავი შესწირეს, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ქართველ კაცში ვაჟკაცური და რაინდული სული არ ჩამკვდარა. პატივი უნდა მივაგოთ აგრეთვე ყველა მეომარს, რომელიც ფრონტიდან დახეიბრებული ან სულაც ჯანმრთელი დაგვიბრუნდა, მაგრამ — არა ღირსებადაკარგული.

საქართველოს თვით პირველი დამოუკიდებლობის წლებში იყო თავგანწირვისა და თავდადების მაგალითები, რომლებსაც მტერიც ვერ უარყოფს. აი, რას წერს, მაგალითად, აშკარად რუსი შოვინისტი ლევ ვერშინინი თავის წიგნში, რომლის სათაური წარმოადგენს გადაკეთებულ ლერმონტოვის სტროფს - **„გაიქცნენ მამაცი ქართველები“,** ხოლო სათაურის ქვეშ ასეთი წარწერაა: **„საქართველოს შეულამაზებელი ისტორია“:** „ზუსტად შეიძლება ვილაპარაკოთ 700 **„ხრამიდან უკანდახეულებზე“** და კიდევ პოლკოვნიკი ჩხეიძის (სწორედ იმის, რომელიც 1920 წელს აჯანყებული ოსების ამბოხებას აქრობდა) 510 იუნკრებზე და კადეტებზე, რომლებიც მოგერიებით ბრძოლებს აწარმოებდნენ დედაქალაქის მისადგომებთან, სოფელ ტაბახმელასთან. აი აქ, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ზუსტად არის დოკუმენტირებული და დადასტურებული: ყმაწვილები, თითქმის ბავშვები, გასაოცარი მამაცობით იბრძოდნენ, გაუძლეს ჯერ ორდღიან (19-20 თებერვალი) ბრძოლას მე-11 არმიის ავანგარდთან და, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს მოწინააღმდეგე, გვერდი აევლო ციხესიმაგრედ ქცეული სოფლისთვის, ხოლო შემდეგ, 25 თებერვლის ღამემდე იგერიებდნენ შეტევებს უკვე არმიის ქვედანაყოფებისას, მაშინ, როდესაც მწყობრში რჩებოდა 90 კაცზე ნაკლები, ამასთან, პრაქტიკულად, ყველა მრავალგზის დაჭრილი.



ორიოდ სიტყვა ამ წიგნზე. მის გარეკანს **„ამშვენებს“ (ვაი, სირცხვილო!) სააკაშვილის პორტრეტი, როდესაც ჰალსტუხს ღეჭავს, აშკარად შეშინებული.** წიგნის ავტორია, როგორც ვთქვით, ლევ რემის ძე ვერშინინი, ხოლო „წინასიტყვაობის“ ავტორი — **ანატოლი ვასერმანი,** გამოცემულია მოსკოვში 2015 წელს. წიგნი, პირდაპირ უნდა ითქვას, ტენდენციური და ანტიქართულია, მაგრამ ბევრ სიმართლესაც შეიცავს — აშკარად ჩვენთვის სამწუხაროს და დამაფიქრებელს.



ახლა ანტიგმირის შესახებ. ვინ არის ასეთი ანტიგმირი საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის წლებში? დიდად სამწუხაროდ, ეს თავად მთავრობის თავმჯდომარეა — ნოე ჟორდანია.

ეს ცარიელ, ლიტონ განცხადებად რომ არ იქცეს, მსურს, ზოგიერთი ამონაწერი მოვიტანო გამოჩენილი ისტორიკოსის, მედიევისტისა და ინტელექტუალის, პროფ. **გივი ჟორდანიას** 485-გვერდიანი წიგნიდან **„მარტვილობა მესიისა“** (თბილისი 2005). წიგნი ეძღვნება ილიას და ეყრდნობა მდიდარ ფაქტობრივ მასალებს. ნოე ჟორდანიაზე კერძოდ ნათქვამია: **„ნოე ჟორდანია ეროვნულ იდეას თავის მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში მშრომელი ხალხისადმი მტრულად დაპირისპირებულ კლასობრივ იდეად რაცხდა... 1934 წელს ნოე ჟორდანიამ შეხედულებები შეიცვალა... მაგრამ საკუთარი ცოდვებისა და ყალბი აზრების დაფარვა, თანაც ისეთებისა, რომელთაც ერი დაღუპვის კარამდე მიიყვანეს, ისტორიული სინამდვილის არანაკლები დამახინჯებაა, ვიდრე სოციალიზმის ამ ლიდერის მიერ ძველად დაშვებული ისტორიული სიყალბენი...“** ასეთივე გახლდათ **ფილიპე მახარაძე,** „იმ განსხვავებით, რომ ნაკლებად მიმართავს არგუმენტაციას... ვფიქრობ, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატების იდეოლოგთა ანტიეროვნული, ნიჰილისტური იდეები განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის დამპყრობელ რუსეთის საიმპერიო მთავრობას აძლევდა ხელს, რადგან ეს იდეები ხელს უწყობდა ქართველი ერის გათიშვას, ასაბუთებდა ერის მთლიანობის არარსებობას, მის დაშლას... ამიტომ იყო, რომ ჩვენი ერის მამამ, ილიამ, ასე უკულმართად მოაზროვნე სოციალ-დემოკრატ იდეოლოგებს **„რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუშები“** უწოდა“. „ნ. ჟორდანიასა და ილიას შორის საპოლემიკო ბრძოლამ დაუდო სათავე ქართველ სოციალ-დემოკრატთა საშინელ კამპანიას ერის მამის წინააღმდეგ“. **„ილიას ცილისმწამებელთა მოთავე ფ. მახარაძეა“.** „ბ-ნი ნოეს ეს სტატიები ისე აღმაშფოთებლადაა შედგენილი, რომ დღესაც კი აღელვებასა და აღშფოთებას იწვევს მათ წამკითხველ ქართველში, დღეს, როდესაც მთელი საუკუნეა გავლილი მათი გამოქვეყნებიდან. ახლა წარმოვიდგინოთ, — რა იქნებოდა მაშინ?!“ „რასაკვირველია, ბ-მა ფილიპე მახარაძემ ფრიად მუხანათური როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს მიმართ. სამშობლოს მოღალატე გახდა, — იგი ხომ ერთი იმათთაგანი იყო, ვინც წინ მოუძღოდა საბჭოთა რუსეთის არმიას სამშობლოში 1920 და 1921 წლებში. ერის მამასაც მან მეტად მტკივნეული **„სულიერი ჭრილობა“** მიაყენა 1905 წელს, მაგრამ 1900 წელს ილიას წინააღმდეგ **„ფალავნად“** გამოდიოდა **არა ფილიპე,** არამედ მისი სემინარისტობის დროინდელი მეგობარი და ქართველი სოციალ-დემოკრატების მთავარი ლიდერი და იდეოლოგი ბ-ნი **ნოე ჟორდანია.** „თვალაბმულებმა“ შეიგნეს, რომ ერის მამასთან პოლემიკა მათთვის სასარგებლო ვერ იქნებოდა... იწყეს მზადება ერის მამასთან **„სხვაგვარი მეთოდით შებმისა. ეს მეთოდი იყო არსებული მდგომარეობით გამწარებული და ბრბოდ ქცეული ხალხის მისევა ილიაზე“. „სადისტურად მოქმედი „შემოქმედელი იუდა“ (ასე ვუწოდებთ ბ-ნ ფილიპე მახარაძეს) და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ექსტრემისტთა ბრბო...“ „ილია ცოცხალი არ უნდა დარჩენილიყო...“ „გიგლა ბერბიჭაშვილისთვის პერსონალური პენსია „შემოქმედელი იუდას“ წყალობა იყო“.**

**„დამახასიათებელია“** - აგრძელებს გივი ჟორდანია — **„რომ მაშინაც კი, როდესაც ჟორდანიამ აიღო ჩვენს სამშობლოში ძალაუფლება, იგი და მისი კოლეგები — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურნი — ითვლებოდნენ არა რომელიმე ქართული სახელმწიფოებრიობის მქონე პარტიის, არამედ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ წევრებად. ილია გულისტკივილით ისმენდა მათ გამოსვლებს პეტერბურგში — სახელმწიფო სათათბიროში; ეს გამოსვლები გაჟღენთილი იყო ზრუნვით „დიდ რუს ხალხზე“ და არა საკუთარ სამშობლოზე, საქართველოზე!..“**

„ილიას ერთ-ერთი მთავარი მკვლელი იყო“ — ასრულებს გივი ჟორდანია — „ქართველი ზომიერი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, ბ-ნი ნოე ჟორდანიაც. ის კალმით კლავდა ილიას, ხოლო „ერის მამის“ მკვლელობიდან ექვსი წლის შემდეგ, მანვე, ბ-ნმა ნოემ იკისრა დაცვა ილიას „ტყვიით მკვლელობის“ მთავარი რედაქტორისა და თავისი „ღირსეული“ კოლეგის — ფილიპე მახარაძისა“.

* * *

**ორიოდ სიტყვა გრიგოლ ვაშაძეზე. ეს დალოცვილი, როგორც „საქართველოს რესპუბლიკიდან“ შევიტყვე, 2008 წლის ომის დროს მოსკოვში ბრძანებულა, საერთო შეფასებით მტრის დედაქალაქში. როგორც ჩანს, ცუდ დროსაც არ ატარებდა იქ. ახლა მოდგა ეს ვაშაძე და ათი წლის მერე რუსეთს მუშტებს უღერებს და თან თავისი პარტიის ბელადის, სააკაშვილის საქართვლეოში დაბრუნება სურს. მართლა გამოტვინებული უნდა იყოს ის ამომრჩეველი,ვინც ვაშაძეს ხმას მისცემს. საერთოდ, მისმა არსებობამ, თავის დროზე, ჩემი ყურადღება იმით მიიპყრო, რომ — გავიგე — ნინო ანანიაშვილის ქმარიაო!..**

**შორს არ არის ვაშაძისაგან ასევე მისი კუდრაჭა, მარად მომღიმარი ორეული დავით ბაქრაძე. დიახ, დიახ, სწორედ ის — 2008 წლის ომის დროს მოსახლეობას რომ მოუწოდებდა, რუსებთან საბრძოლველად დანებით გამოსულიყვნენ. როგორც ვხედავთ, დღეს ბაქრაძე შესანიშნავ გუნებაზეა ხოლო მისგან წაქეზებული (და უმთავრესად — სააკაშვილისგან!) მეომრები ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ. ახლა ვიცი, „ნაცებისა“ და „ბაქრაძისტებისგან“ ატყდება ყმუილი — ომი რუსეთმა დაიწყო და არა საქართველომ! შემიძლია ისინი დავამშვიდო — მართალს ბრძანებთ, ოღონდ ერთი რამ გერევათ (შეგნებულად!): საქართველო სააკაშვილი არ არის და ომი საქართველოს მართლაც არ დაუწყია! ომი დაიწყო იმან, ვინც ხედავდა, რომ ქართველ ხალხში პოპულარობას კარგავდა, ვინც აკრძალა ე. წ. „ერგნეთის ბაზრობა“, რაც ქართველებისა და ოსების დაახლოებას ხელს უწყობდა, ვინც სამაჩაბლოში სამშვიდობო მანდატის მქონე რუსის ჯარისკაცები დაახოცვინა და ამით საბაბი მისცა აგრესორ რუსეთს, საქართველოში შემოჭრილიყო და მისთვის სასურველი ქართული მიწების ოკუპაცია მოეხდინა.**

ზუსტად იმ დღეს, ე. ი. როდესაც რუსეთის ტანკები საქართველოში შემოიჭრნენ, ირანიდან საქართველოში ბრუნდებოდა ჩემი ახლობელი და მომიყვა: როგორც კი გადმოვკვეთე აზერბაიჯანის საზღვარი, გამაოცა საზღვართან მყოფმა ქართველთა ძვირად ღირებული მანქანების, დაბურული შუშებით, გრძელმა რიგმა — საქართველოდან გაქცევას ლამობდნენ. **ახლა მკითხველს ვეკითხები: ვინ ისხდებოდნენ იმ მანქანებში? პასუხი თავადვე გვეუფლება — მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ელიტა! ასევე გარბოდნენ წყნეთის აგარაკებიდან, რისი თვითმხილველებიც არსებობენ.**

ვატყობ, სათქმელმა წინ გამისწრო და ძალაუნებურად მომიხდა ახალი დამოუკიდებელი საქართველოს ანტიგმირების დასახელება.

რასაკვირველია, ამით არ ვამთავრებ

და მსურს, წინ წამოვწიო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: მეორე მსოფლიო ომის შეფასება, ქართველი ჯარისკაცის პოზიციის გათვალისწინებით.

ამ ომთან დაკავშირებით დავუშვათ, პირობითად, ორგვარი შეფასება – ალექსანდრე სოლჟენიცინისეული და ანტიფაშისტური.

ალექსანდრე სოლჟენიცინი თავის „გულაგში“ ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი, დღიდან მისი შექმნისა, იყო ბოროტება – ლენინის მიერ შექმნილი პირველი საკონცენტრაციო ბანაკებით და სტალინის ტირანიით დამთავრებული. ამიტომ ეს სახელმწიფო უნდა მოსპობილიყო.

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის დიდ როლს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ნახევარი მსოფლიო ებრძოდა, ვითარება ცოტა სხვაგვარი ხდება. მაშინ ქართველ ჯარისკაცს, როგორც ფაშიზმთან მებრძოლს,გამართლება ეძებნება. ყოველ შემთხვევაში, დიდ დანაშაულად მიმაჩნია, რომ სააკაშვილის ბრძანებით ქუთაისში ააფეთქეს მერაბ ბერძენიშვილის გრანდიოზული ქმნილება – „გამარჯვების მემორიალი“, რომლის თუნდაც მხატვრული ღირებულება დიდი გახლდათ.

რაც შეეხება სტალინის პიროვნებას – ამქვეყნად მას დარჩა უამრავი თაყვანისმცემელი, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით დამარცხებული გერმანელი ჯარისკაციც კი. ასეთი არის ფილოსოფოსი **ერნსტ ტოპიტში** (Topitsch), რომელიც გარდაიცვალა 2003 წელს და რომელიც, როგორც ჯარისკაცი, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობას იღებდა მოსკოვზე თავდასხმაში. თავის წიგნში „სტალინის ომი“ (1985) ტოპიტში მას, ამ „დემონურ ქართველს“, ზეადამიანურ უნარებს ანიჭებს. იგი დარწმუნებულია, რომ სტალინმა გერმანული არმია მოსკოვამდე შეიტყუა, რათა მისი განადგურების შემდეგ ევროპა დაეპყრო.

ახლა შევეხოთ მეორე საკითხს, კერძოდ, – ქართველი ჯარისკაცის დახასიათებას გერმანელთა მხრიდან, რომლებიც იბრძოდნენ გერმანულ ჯარში. ამ მხრივ მკითხველს მივუთითებ ჩემ მიერ შეგროვებულ და კომენტირებულ მასალებზე, რომლებიც გამოიცა სახელწოდებით **„ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“** (თბილისი 1994, 590 გვერდი, გამომცემლობა „განათლება“). რაც შეეხება ქართველი ჯარისკაცის დახასიათებას, ამას უშუალოდ გერმანელი ავტორის სიტყვებით გადმოვცემ, რომელიც არ შესულა ზემონახსენებ წიგნში. ავტორი გახლავთ **იოახიმ ჰოფმანი** – „კავკასია 1942-43. გერმანული ჯარი და საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის ხალხები“ – რომბახის გამომცემლობა ფრაიბურგი (წლის მიუთითებლად). ეს შრომა გამოიცა გერმანული **„სამხედრო-ისტორიული კვლევის უწყების“** მიერ. აი, რას ვკითხულობთ აქ ქართველ ჯარისკაცზე: **„ქართველი ჯარისკაცების სიშმაგემდე მისულ მამაცობას უსაზღვრო ქება-დიდებას უძღვნიდნენ სხვადასხვა გერმანელი მომხსენებლები. აგრეთვე საომარი მოქმედებების თეატრის დასავლეთზე გადატანის შემდეგ, როგორც სხვა მოხსენება იუწყება, ქართველები „დიდებულად იბრძოდნენ“ - მომხსენებელი გიუნტერ ვებერი (18. 6. 1944).“ რასაკვირველია, ავტორი იოახიმ ჰოფმანი ქართველების ღალატსაც აღნიშნავს, განსაკუთრებით ომის დასასრულის პერიოდში.**

რა უნდა ითქვას აქ ანტიგმირებზე? ჩემი აზრით, ვინც სამხედრო ფიცს არღვევდა და მოწინააღმდეგე მხარეს აქეთ-იქით გადარბოდა, ყველას შეფასება შეიძლება როგორც ანტიგმირისა.



**ვიქტორ რცხილაძე**

**P. S. არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას ე. წ. „კანაფის საქმეზე“, რომლის პოზიციასაც მთლიანად ვიზიარებ. დამატებით აღვნიშნავ, რომ მთლიანად გასაუქმებელია „საკონსტიტუციო სასამართლო“, რომელმაც მარიხუანის ლეგალიზაციის მავნე გადაწყვეტილება გამოიტანა.**

**ვ. რ.**

# უკიდურეს ჩრდილოეთში, იქ, სადაც ცხელა...




**ლეგენდები** იმის თაობაზე, თითქოს უხსოვარ დროს დედამიწაზე სხვა ცივილიზაციებიც არსებობდნენ, რომლებიც განვითარების დონით თანამედროვეს ბევრად აღემატებოდნენ, დიდი ხანია, კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს. იმაში, რომ ასეთი ცივილიზაციები ნამდვილად იყვნენ და შემდგომ გაურკვეველ მიზეზთა გამო გაქრნენ, სერიოზული მეცნიერებიც კი არიან დარწმუნებულნი. თანაც ამ შემთხვევაში ლაპარაკი მარტო საყოველთაოდ ცნობილ ატლანტიდაზე სულაც არ არის.

წარსულის დიადი ცივილიზაციებიდან ყველაზე ადრეული მითი გამქრალი ჰიპერბორეის შესახებ მოგვითხრობს. მისი წარმოშობის დრო მიახლოებითაც უცნობია, მაგრამ ჩვ.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნეში ძველ ბერძნებს რამდენიმე თეორია ჰქონდათ ამ იდუმალი ქვეყნის წარმოშობის შესახებ, ამდენად თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ თვით მითი რობდა. იგი იმასაც დასძენს, რომ ჰიპერბორეელები ასევე ბედნიერად კვდებიან კიდეც მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ იჯერებენ გულს ხანგრძლივი და საამო ცხოვრებით.

ჩრდილოეთის „ზღაპრული“ ქვეყნისა რომაელებსაც სწამდათ, რომლებმაც ბერძნებისგან მთელი მითოლოგია გადმოიღეს. ჩვენი დროის I საუკუნის მეცნიერი და მწერალი **პლინიუს უფროსი** ცდილობდა ჰიპერბორეელთა ცხოვრების ნირის წარმოდგენას და წერდა, რომ მათ ქვეყანაში მზე ნახევარი წლის მანძილზე არ ჩადის – მისი გათვლებით ის პოლარული წრის მიღმა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამასთან მას რატომღაც მიაჩნდა, რომ იმ მიწაზე თბილა, იზრდება უღრანი ტყეები და კლიმატიც ერთობ საამოა. **შესაძლოა, მას მიაჩნდა, რომ ჰიპერბორეელებს ამინდის მართვა შეუძლიათ.**

მითმა ჰიპერბორეელების შესახებ გაცილებით გვიანდლამდეც მოაღწია. კერ-



გაცილებით ადრე წარმოიშვა. ლეგენდის თანახმად, სადღაც შორს ჩრდილოეთში, ბორეოსის იქით, ანუ იქ, საიდანაც ჩრდილოეთის ქარი უბერავს, უჭკვიანესი ადამიანებით დასახლებული ქვეყანა არსებობდა, რომლებმაც მეცნიერებასა და ხელოვნებაში ისეთ სიმაღლეებს მიაღწიეს, რომ თვით ამ სფეროთა მფარველი ღმერთი აპოლონიც კი, სხვადასხვა სასწაულის შესასწავლად, 19 წელიწადში ერთხელ იქაურობას სტუმრობდა.

ჩვ.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი **ფანოდემოსი** წერს, რომ ქვეყანას „ჰიპერბორეა“ ოდესღაც იქ ნამყოფმა ათენის ერთ-ერთმა მცხოვრებმა შეარქვა, თორემ საკუთარ თავს ისინი რაღაც სხვა სახელს ეძახიან. პოეტი **ფერენიკოსი** კი ჰიპერბორეელებს ტიტანების შთამომავლებს უწოდებდა, რომლებიც მანამდე გაჩნდნენ, ვიდრე მათი წინაპრები ოლიმპოს მკვიდრებთან ომს წააგებდნენ.

აქედან გამომდინარე, ჰიპერბორეის შესახებ მითის წარმოშობა, შესაძლოა ირიბად ეს დეტალიც მიანიშნებდეს, რადგან მითი ტიტანებისა და ოლიმპოს მკვიდრთა ბრძოლის შესახებ ჯერ კიდევ ბერძნული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე წარმოიშვა.

გვიანდელი ბერძენი ისტორიკოსები ჰიპერბორელების აღწერას თავიანთ დეტალებს უმატებდნენ და მათ არა მარტო აპოლონის, არამედ სხვა ღმერთების რჩეულებადაც მიიჩნევდნენ, რომელთაგან თითოეულს ამა თუ იმ სფეროში ეხმარება. ამის შედეგად, **ჩვენი ერის დასაწყისისთვის ჰიპერბორეა, ფაქტობრივად, დედამიწაზე სამოთხედ იქცა, სადაც გამუდმებით ლხენა და სიამტკბილობა სუფევს,** – სწორედ ასე აღწერს მას ისტორიკოსი **დიოდორე სიცილიელი**, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ცხოვ-

ძოდ, 1595 წელს ინგლისელმა მოგზაურმა **ჰერარდ მერკატორმა** დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილის რუკა დასტამბა, რომლის შუაში მეზღვაურმა საკმაოდ ვრცელი კონტინენტი – **არქტიდა** – მოათავსა. უფრო სწორად, ეს იყო არა კონტინენტი, არამედ ოთხი დიდი კუნძული, რომლებიც ერთმანეთისგან ვიწრო სრუტეებით ან ფართო მდინარეებით იყო გამიჯნული. თანაც ამ არქიპელაგის გარშემო მდებარე კონტინენტების კონტურები უდიდესი სიზუსტით იმეორებდნენ ევრაზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კუნძულ გრენლანდიის მიმდებარე სანაპირო ზოლის მოხაზულობებს. საიდან ჰქონდა მერკატორს ეს რუკა, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, თუმცა ცნობილია, რომ მას დიდად აინტერესებდა ძველებური რუკები, რომლებსაც ბიბლიოთეკების საცავებში დაეძებდა, ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ მან თავისი ფანტაზიით, რომელიმე ძველი მოგზაურის მიერ ოდესღაც შედგენილი რუკა „გაალამაზა“ და ცენტრში ლეგენდარული ჰიპერბორეა მოათავსა. ამის შედეგი ის იყო, რომ დიდი ხნის მანძილზე ევროპაში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩრდილოეთ პოლუსზე მართლაც მიწაა.

იმის მიუხედავად, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის შემდგომ ცხადი გახდა, რომ პოლარული წრის მიღმა არანაირი დასახლებული თბილი კლიმატის მიწები არ არის,, მითმა ჰიპერბორეის ანუ არქტიდის შესახებ დღევანდლამდე მოაღწია. მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ **ჰიპერბორეული ცივილიზაცია ჩრდილოეთში ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ არსებობდა, მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზით დაიღუპა**. არსებობს მოსაზრება, რომ ბოლო გამყინვარებამდე დედამიწაზე კლიმატი ამჟამინდელზე გაცილებით რბილი და იმდენად თბილი იყო, რომ პოლარულ არეებშიც კი ცხელოდა და ტროპიკული მცენარეები იზრდებოდა. მაგრამ, თუკი ეს მართლაც ასე იყო, რამდენად რეალურია იქ მრავალი ადამიანის სახლობა? ამ მხრივ რამდენიმე მოსაზრება არსებობს: **ზოგიერთს მიაჩნია, რომ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში კონტინენტი ან დიდი კუნძული არსებობდა, რომელიც დედამიწაზე კლიმატის ცვლილების, ანდა რომელიღაც გლობალური კატასტროფის შედეგად ჩაიძირა**. სხვების აზრით, ჰიპერბორეელთა სამშობლო, შესაძლოა, **გრენლანდია** ან **კოლის** ნახევარკუნძული ყოფილიყო, მესამენი კი თვლიან, რომ ანტიკური ავტორები ცდებოდნენ, როცა ჰიპერბორეას ასე შორს ჩრდილოეთში უჩენდნენ ადგილს, **სინამდვილეში კი ეს ლეგენდარული ქვეყანა ურალის მთების ან კარელიის მიდამოებში უნდა ყოფილიყო.**

ჰიპერბორეის იდეის ყველა ვარიანტის მომხრეებს მაინც ერთი რამ აქვთ საერთო: **მათ სწამთ, რომ ამ უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები ერთიანად არ გადაშენებულან და რომ ევროპელი და სლავი ხალხები მათი შთამომავლები არიან.**

მოამზადა
**ნინო ალექსანდრიამ**



# „ბოლოს და ბოლოს, მწერლებს ფულს იმისთვის გადაუხდიან, რომ აღარ წერონ“

**„უსამართლოდაა მოწყობილი სამყარო... და კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ არავინაა, ვინც შეძლებდა მის რეფორმირებას... ჭეშმარიტი კრიტიკის ამოცანა დღეს იმ წიგნის შექმნაა, რომლის სახელწოდება — „სულიერების საყოველთაო კრიზისი“ უნდა იყოს...“ ალფრედ დე ვინის ჯერ კიდევ როდის გაცხადებული ეს იმპერატიული რეფლექსია დღესაც, ჩვენი რეალობისთვისაც ორგანულია...**

ე. წ. სულიერ ფასეულობათა სრული კაკაფონიის პირობებში ძნელია აღმოაჩინო და ღირებულებრივ მოცემულობად აღიქვა ჩვენი თანამედროვე მხატვრული აზროვნების მეტ-ნაკლებად მაგისტრალური დისკურსი...

იგი თითქოს გამოფიტულია ღრმა, არსებითი და რეზონანსული სულიერი იმპულსებისაგან...

* * *

„ბოლოს და ბოლოს, მწერლებს ფულს იმისთვის გადაუხდიან, რომ აღარ წერონ“ — თომას კარლეილის ამ პიკანტური „ნათელხილვის“ სუსხი ემუქრება თუ არა თანამედროვე ლიტერატურული ავანსცენის „აქტორებს“, ამას დრო-ჟამი დაგვანახვებს...

სხვა ნეგატიურ სიმპტომებთან ერთად, ახალთა ზღვარგადასული სკაბრეზია ალბათ მაპროვოცირებელი დიდი ინგლისელი სწავლულის ამ ვარაუდისა...

შემთხვევათა გამო მრავალნი მოქცეულან დროის ატორტმანებული „ტალღის ქიმზე“, თუმც მალევე მათგან მხოლოდ „ქაფიღა“ დარჩენილა...

სამწუხაროდ, ახალმა რეალობამ, მატერიალური შეჭირვების გარდა, ის კატაკლიზმებიც გამოიწვია, რომელნიც არა მხოლოდ გარეხდომილებათა რიგს განეკუთვნებიან, არამედ ადამიანთა შინაგან სამყაროსაც მოიცავენ...

გასაგებია, რომ იმ „მითოლოგიური სკნელიდან“ გამოსვლა, ახლო წარსული რომ ჰქვია, რელევანტურია. თუმც თვით ამ „განახლებას“, ანუ ევოლუციურ „სიმამაცეს“ არ უნდა შეეწირონ საუკუნეებს გამოტანჯული, ეროვნული იდენტობით კოდირებული სულიერი თუ მორალური ღირებულებანი, ანუ ყოველივე ის, რაიც საძირკვლად ედო ჩვენს სულიერ ძალმოსილებას...

* * *

ერთნი წერენ, რათა საერთო კუთვნილებად აქციონ ის, რაც მათი მორალური და ინტელექტუალური რწმენის უალტერნატივო გამოსხივებას წარმოადგენს...

მეორენი კი, რათა დაიცხრონ თვითრეკლამირების პარანოიდალური ვნებანი, ანუ შინაგან უმწეო სულიერ იმპულსთა თავაწყვეტილი „კუნტრუში“...

პირველთა საქმიანობის არსი ჭეშმარიტებაა, მეორეთა კი — თვალთმაქცური მარიაჟით სპეკულირება...

შემოქმედებითი თავისუფლება კი საოცრად სათუთი ბედნიერებაა, შინაგანი ნეტარი „ტანჯვით“ შეცნობილი ჰარმონიაა, შენსა და სინამდვილეს შორის გასადები „ბეწვის ხიდია“, რომელსაც თავსა და ბოლოში გონება და რწმენა უნდა ედგეს უმძლავრეს ბურჯებად...

სიტყვის თავისუფლების ტკბობით „გალაღებულმა“ ე. წ. ნოვატორებმა უნდა შეიგნონ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რასაც ამბობენ, არამედ ისიც და განსაკუთრებით ისიც, თუ როგორ და რატომ ამბობენ ამას... ანუ არსებითია არა მხოლოდ სემანტიკა, არამედ აზრად ქცეული სიტყვის პრაგმატიკა...

მხოლოდ ამგვარად, ამ ფუნქციითა და როლით ენიჭება ლიტერატურულ ტექსტს ქმნილებად სახელდების მაღალი უფლება... სხვა ყველაფერი ეკლექტიკა და იმპულსური რეფლექსიებიდან მომდინარე სუროგატია, **არახანიერი** და თვით მკვდრადშობილიც კი...

* * *

„ახალი გენერაციის“ ქართველთა ნარცისიზმი, აგრესიული დილეტანტიზმი და ფსევდორეფორმატორული ინსტინქტები ის „პრეფერენციებია“, ტოტალურ ნოვაციათა დამკვიდრების მუქარით რომ „მოარღვევს“ აწ უკვე გროტესკული ბუტაფორიებით „დანაღმულ“ სინამდვილეს...

ეს ყოველივე, ალბათ, კლასიკური გამოვლენაა ეგზისტენციური ქაოსისა... აშლილობისა, რომელიც წარმოიდგინება არა როგორც გლობალური სამედიცინო კაზუსი, არამედ როგორც პრეცედენტი დესტრუქციისა, აბსურდისა და კოლაფსის ფატალურ ატრიბუტად ქცევის ლოგიკური შედეგისა...

* * *

ჩვენი ერის შემოქმედებითი წარსულის ანალიტიკური ხილვები ნათელს ჰფენს ე. წ. „ცისფერყანწელთა“ მოდერნით „გატაცების“ იმ კონტექსტებს, რომელთაც შვეს და ააღორძინეს ქართული სიმბოლიზმი...

სიტყვაში მყოფობის თვით მაგიური ფაქტით სიმბოლიზმი ამკვიდრებდა მეგარეალობის ენიგმური აღქმის ხელოვნებას, შემოქმედებითი აქტის ჰიპერტექსტს, რომელიც უნდა გაცხადებულიყო ვითარცა სუგესტია, ექსტაზი, ეპიფანია, გნოზისი თუ ლოცვა... ანუ ენის „სარკეში“ არეკლილი ადამიანის სუბსტანციის უნივერსალიზმი...

ამ კონტექსტში მოიაზრება გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“ და „ცისფერყანწელთა“ მთელი რიგი სიმბოლისტური ტექსტებისა....



თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ უკანასკნელთა თეორიული წერილები და განსაკუთრებით „ეზოთერიული ინჟინერიით“ აღბეჭდილი ლექსები ოდენ უფრო სუბლიმირებული გამოსხივებაა კლასიკური სიმბოლიზმის სისტემური და კონცეპტუალურად რაფინირებული კონდიციებისა...

სიკვდილის ვარდისფერ საზღვრებში უკვდავების ძიების მოტივაციები (გალაკტიონი), თუ პარადიგმა გენიალობისა, როგორც საბედისწერო „სნეულებისა“ (კვლავ გალაკტიონი) — ვაგნერის, ნიცშესა და, რა თქმა უნდა, „დაწყევლილ პოეტთა“ მედიტაციებითაცაა ინსპირირებული...

ისინი იმ ახალი იდეალიზმის კულტს ამკვიდრებდნენ, ოდენ საკუთარი თვითშემეცნებითა თუ ლინგვისტური არაბესკების ჯადოსნური ხატოვანებით რომ აღწევდა ფანტასმაგორიულ შეგრძნებათა მისტერიალურ ექსტაზს...

სიმბოლიზმი სახელდებოდა ახალ თეურგიულ მოვლენად, წმინდა პოეზიად, დემონიზმად... კიდევ სხვად და სხვად...

ცხადი ერთი რამაა, მან შექმნა სრულიად უნიკალური ტიპის კულტურული პანორამა, ჭეშმარიტად ეპოქალური სტილი, გენიალური შემოქმედებითი ინდივიდები და ეროვნული შენაკადები...

სიმპტომურია, რომ მისი კრიზისის, ანუ ფიგურალურად, ე. წ. „ევროპული ღამის“ ჩამოდგომის მიზეზთა შორის სახელდებოდა სუბიექტივიზმის სიძაბუნე, ახალთა აგრესია თუ საზოგადოების ინდიფერენტიზმი...

საბოლოო ჯამში ეს ყოველივე იყო ინდივიდუალიზმის ტოტალური მარცხი და ელიტარული ხელოვნების მწუხარე დაისი...

ამ „ევროპული ღამის“ ტრაგიკული ქართული ანალოგი კარგად არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის...

არსებითი და საგულისხმო კი ის არის, რომ შემოქმედებითი თავისუფლებისა და პოეზიის უნივერსალიზაციის მოტრფიალენი — „ცისფერყანწელთა“ სახით, სრულიად გულწრფელად „შეეხიზნენ“ სიმბოლიზმის უნატიფესი მშვენიერებით გაცისკროვნებულ „ტაძარს“...

რამდენად იქცნენ ისინი ამ საკრალური ტაძრის „წმინდა აღთქმათა“ აბსოლუტურ, ანუ კონცეპტუალურ თანაზიარად, ალბათ, მაინც ძნელი სათქმელია...

მთავარი კი ის არის, რომ მათ აღასრულეს დანაპირები და ქართულ პოეტურ კულტურას ევროპული დიაპაზონის შთამაგონებელი სურნელი აგრძნობინეს...

სწორედ სიმბოლიზმით ინსპირირებულმა ძალისხმევამ „შეისრუტა“ ეპოქათა ენციკლოპედიურად არგუმენტირებული და ისტორიულ-კულტურული ალუზიებით მოდელირებული მასშტაბები, შეისისხლხორცა და განაბრწყინა ქართული სიტყვის ესთეტიკური ბუნების თანდაყოლილი უნივერსალიზმი, რომლის გარეშეც ძალზედ „მოიწყენდა“ ეროვნული პოეტური ცნობიერების ჩვეული ძალმოსილება...

თუნდაც მხოლოდ ამიტომაა მათი თვით ხანმოკლე სიმბოლისტური ხანა ერთობ აქტუალური, ძვირფასი და დაუვიწყარი ჩვენი ეროვნული კულტურული ცნობიერებისათვის...

* * *

XX საუკუნის ქართული კლასიკური მხატვრული პროზა არსებითად მეტაფიზიკური თავისუფლების ონტოლოგირებითაა ინსპირირებული...

კლასიკური ნარატივისათვის ორგანულმა ამ კონცეპტუალურმა დისკურსმა მძაფრი ობერტონებით წარმოსახა უმძიმესი ჟამის ტრაგიკული გრიმასები თუ სოციუმის შემაძრწუნებელი კონვულსიები... ერის ისტორიული განვითარების ბუნებრივ პროცესთა მსხვრევის სიმპტომები...

მწერლის მხატვრული ცნობიერება ეროვნული თვითშემეცნების იმ გრადაციებს ათვალსაჩინოებდა, რომელთა წიაღიდანაც კიდევ უფრო ცხადად სახიერდებოდა რეალობათა ინფერნალური სემანტიკა ...

იმავ დროს, სულიერი გამოცდილების უნივერსალიზმით აღბეჭდილი პროზაული ქმნილებები რომანტიკული რაკურსით ათვალსაჩინოებდნენ ჰეროიკული კონოტაციებით გაჯერებული წარსულის რეალიებს, რათა თანამედროვეთა ცხოველი ფიქრისა და ოცნების საგნად ექციათ კდემით, თანაალმობითა და რწმენით აღბეჭდილ ნეტარ დრო-ჟამთა ძლევამოსილებანი, ანუ ოდესღაც აღორძინებული სამშობლოს ნეტარი ხატი...

ასეთი იყო და ასეთად იაზრება გარდასული საუკუნის დიდი მხატვრული პროზა მის გულწრფელ დამფასებელთა მიერ...

* * *

შეუძლებელია რეზონანსული არ ყოფილიყო და კოლოსალური შთამაგონებელი ძალა არ ჰქონოდა XX საუკუნის დიდ ქართველ სწავლულთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდბუნებოვან გაკვეთილებს...

ამ თვალსაზრისითაც სრულიად განსაკუთრებულია მათი ღვაწლმოსილების დიაპაზონი...

არსებითად ამ ფაქტორმაც განაპირობა იმ სულიერად ემანსიპირებული და ინტელექტუალურად სრულყოფილი თაობის შემოქმედებითი ძალმოსილებანი...

ათწლეულების განმავლობაში მათ ღირსეულად აღასრულეს ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჭეშმარიტად ემბლემატური მისია, სრულიად განსაკუთრებული აქცენტებით აღბეჭდეს საკუთარი ყოფიერების საზრისი...

გრანდიოზულია თუნდაც ფილოლოგიურ მეცნიერებათა ამ რენესანსული ჟამის მრავლისმეტყველი კვალი, რომელიც იმედია, მომავალშიც არა ერთსა და ორ თაობას „მოაძებნინებს“ ერის უღრმეს სულიერ წარსულთან „დიალოგის“ გზებსა და ბილიკებს...

ამ ღვაწლმოსილთაგანი იყო რევაზ თვარაძე...

გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი დღევანდელი ინტელექტუალური თუ მორალური გადასახედიდან კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენენ მისი მეცნიერული თუ ადამიანური ცხოვრების რეალიები...

მისი ანალიტიკური გონი, ერუდიცია და სულიერების მაღალი კულტურა ჰუმანიტარულ კვლევათა იმ ინგრედიენტებს წარმოადგენდა, რომელთა ერთობლიობამაც აღიქვა და წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის მეცნიერულად სტრუქტურირებული პანორამა... შეძლო, ყოფილიყო ერთი ჭეშმარიტი კლასიფიკატორთაგანი ერის უმდიდრესი სულიერი მემკვიდრეობისა...

უაღრესად ფასეულია მისეული ანალიტიკური შტუდიები...

უშორესი თუ ახლო წარსულის სულიერ წიაღს ორგანულად ნაზიარებისათვის, არა იყო რა ამოუცნობი და ბუნდოვანი, უნდილი და ფერდაკარგული...

მკვლევრის ანალიტიკური გონი ნათელს ჰფენდა იმ ფარულ კონტექსტებსა და მოდალობებს, რომელნიც არსებითად განაპირობებდნენ მათ ჭეშმარიტ ღირსებებს...

დროთა კავშირისა თუ ჟამთა პერმანენტული უწყვეტელობის პრობლემა, მისი სააზროვნო სტრატეგიის კიდევ ერთი კონცეპტუალური დისკურსი იყო...

სასულიერო და საერო მწერლობის მისეული ანალიტიკა ამ თვალსაზრისითაც ფრიად საგულისხმოა...

სიმპტომურია ისიც, რომ იგი არ იზღუდებოდა მასალის კონკრეტული ჩარჩოებით და სჭვრეტდა სამყაროს კულტურული ტრადიციების უფართოეს სპექტრს, რითაც მყარ და არსობრივ წარმოდგენას ქმნიდა საანალიზო ტექსტების მიმართ...

მაღალ სულიერ ღირებულებათა რეპრეზენტატორი, იგი აღორძინებდა ეროვნული ცნობიერების კრეატიულ ვნებებს და უტყუარი ალღოთი აღბეჭდილ მეცნიერულ კვლევებს სულიერი მედიუმის ფუნქციით წარმოსახავდა...

ვრცელი საუბრის თემაა მისი ფილოსოფიური განსჯანი... და ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა, რადგან მას, როგორც ბუნებით ანალიტიკოსს, შეუძლებელია არ ჰქონოდა თავისი ოდენ ექსკლუზიური და მკაფიოდ გამოკვეთილი ფილოსოფიური შეხედულებანი...

იყო მაღალი ღირსებით მეტყველი და ეროვნული სულიერების შეუდრეკელი ქომაგი...

დრო ვერ შლის და ვერ ავიწყებს ადამიანებს ამგვარ მოღვაწეთა ხსოვნას, რადგან შთამომავლობას სწორედ მათგან, საკრალურ შეგონებად გადაეცემა ეროვნულ ღირებულებათა ერთგულების ის სულისკვეთება, რომელთა შეუსისხლხორცებლად ნონსენსია ქვეყნის ღირსეული მოქალაქეობა და ამ უნეტარესი რწმენით სიცოცხლე...

* * *

თანამედროვე კულტურის ფილოსოფიის რედუცირებული კონტექსტები და ხელოვნების ცხოვრებასთან მიმართების ოდენ ქაოტური თუ არაპროგნოზირებადი კორელაციები, იმ ტოტალური ნიჰილიზმის ატმოსფეროს ამკვიდრებენ, ტრადიციული აზროვნებისა თუ ეთიკური და მორალური კულტურის ნაკვალევს რომ შლის და ანადგურებს...

ეს ყოველივე სამწუხარო რეალობაა და არა კულტურის „ახალი ტალღის“ მხოლოდ ვიზიონერული აღქმის შთაბეჭდილებანი...

რეალობაა, რომელიც ასე სწყურიათ „წარსულის ბრმად მიმბაძველ თაღლით ფალსიფიკატორთ, თუ შეუვალ ტლუ გრაფომანებს“ (ოთარ ჭილაძე)...

ამგვარია მოძალებული ნარცისიზმისა და უნიჭობისაგან გაბოროტებული ნიჰილიზმის ეგზისტენციური ბუნება...

რწმუნდები იმ ჭეშმარიტებაში, რომ სულიერების საყოველთაო რენესანსს, როგორც მისი თანმდევი ანტინომია, ენაცვლება **დეკადანსი**...

სავარაუდოა, რომ ჩვენი ოდენ აჟიოტაჟური, ერთობ ტრივიალური და არსებითად არარესპექტაბელური კულტურული ყოფიერება განსახიერებაა ამ პრეცედენტული ანომალიისა...

**კიდევ ცოტაც და „თვალს მიეფარებიან“ ტალანტებით ესოდენ განებივრებული, თუმცა, ულტრათანამედროვეთაგან ხელნაკრავი თუ შეურაცხყოფილი „სიძველენი“ და თან გაიყოლებენ ეროვნული შემოქმედებითი სულის უნიკალურ „ჯადოს“... მის უნივერსალურსა და რეზონანსულ სიღრმესა და ფერადოვნებას...**

**ასეა ეს, და ვერავითარი ე. წ. თავისუფალი მოქალაქის დემოკრატიული ამბიციები ვერ გააქარწყლებენ ამ ბრუტალური მოდულაციებით აღბეჭდილი პროცესების „ავზნიან“ ცდომილებებს...**



**გურამ ბენაშვილი**

◎ გვეხმაურებიან

# წყალი ჩვენი სიმდიდრეა!

**ჩვენი გამორჩეული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ 24 სექტემბრის ნომერში კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ წავიკითხეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რევაზ გოგოხიას ვრცელი და საფუძვლიანი, ღრმად მეცნიერულად გააზრებული და პატრიოტული სულისკვეთებით ანთებული წერილი „უფლის ნაბოძებ სიკეთეს გამოყენება უნდა“, ქვეტექსტით ისევ საქართველოს ეკონომიკის განვითარების გენერალური სტრატეგიის შესახებ (ანუ ვინ ბლოკავს საქართველოს წყლის ინდუსტრიის გრანდიოზული პროექტის განხორციელებას).**

ეს ამბავი ჩვენთვის, რუსთაველ ენთუზიასტთა ერთი ჯგუფისთვის ახალი ხილი როდია, უკვე მერამდენე წელია, რაც შესანიშნავ მამულიშვილს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ბატონ პაატა გიორგაძეს მხარში ვუდგევართ და, ალბათ, მხოლოდ საქართველოში და ქართველები შეიძლება ვიყოთ ასეთი გრანდიოზული პროექტის მიმართ არა თუ გულგრილნი, არამედ საკუთარი ქვეყნისა და ერის სიკეთის წინააღმდეგ მებრძოლნი, ანუ საკუთარი ხალხის მომავლის მტრები.



დიახ, ეს რომ ასეა, ამას რა მტკიცება უნდა, ღვთისგან ბოძებული, საოცრად კამკამა და მაცოცხლებელი სასმელი წყალი მდინარეებში და იქიდან ზღვაში ჩაედინება, მიწაში ფუჭად თვლემს, ეს მაშინ, როდესაც მარტივად შეიძლება მისი გამოყენება, მარტივად იმიტომ, რომ მას არ სჭირდება გიგანტური ფაბრიკა-ქარხნები, უშველებელი აგრეგატებით, შეიძლება ბოთლებში ჩამოისხას და აგერ ყურის ძირში თუნდაც ირანში, წყალს დანატრებულ მეზობლებს მივყიდოთ.

წერილში გულისტკივილითაა აგრეთვე ნათქვამი, რომ ყოფილი პრემიერი, პატრიოტი და მამულიშვილი ირაკლი ღარიბაშვილი ამ სასიკეთო საქმეს გადააყოლესო, დიახ, ბატონი ირაკლი, ეს მგზნებარე ერისკაცი, დიდი შემართებით რომ შეენთო საქვეყნო საქმეს, ეგრევე, ახალი წლის წინ აიძულეს გადამდგარიყო.

უკვე მერამდენედ ვკითხულობთ, ვინ და რატომ ბლოკავს ამ საქმეს, ვინ არის ის, ვინც ებრძვის საკუთარ ხალხს და ართმევს მას კეთილდღეობას. არადა, ქართველობა, რომელიც დღეს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, როცა მრავალსაუკუნოვანი ერი იძირება, მისი მილიონზე მეტი შემოქმედი, მომავალი თაობის მშობელ-გამზრდელი ქალბატონები და ბატონები უცხოეთში არიან გადახვეწილი და მონებად განწირულნი, ვინ არის ამით დაინტერესებული, ნუთუ დრო არ არის თვალები გავახილოთ და ჭეშმარიტება დავინახოთ?

ბევრს არ გავაგრძელებთ, ან რა აზრი აქვს, სათქმელი და საკეთებელი ისედაც ცხადზე უცხადესია, ამიტომ, კიდევ ერთხელ მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს: ბატონო პრემიერო! ჩვენ არც ამერიკის და არც სხვისი სამათხოვრო არაფერი გვჭირს, ხომ გაგიგონიათ ქართველის ნათქვამი, „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო“, ეგრეა ჩვენი საქმე, აგერ ახლა მარიხუანას გამოვეკიდეთ, თაობებს ვწამლავთ და ვძირავთ, მისი მოყვანა-მოვლისთვის ლამის სამთავრობო პროგრამას ვადგენთ და ამ ღვთივბოძებულ სიკეთეზე კი თვალებს ვხუჭავთ.

სირცხვილია ეს, ბატონო მამუკა!

აკი უფლის ნაბოძებ მამულში ვცხოვრობთო, უფალს ის კი არ უანდერძებია, ქეიფი და კაიფი დილიდან დაიწყეთო, თქვენ თუ ხელს და ტვინს გაანძრევთ, ცოტას მეც დაგეხმარებითო!

გამოფხიზლდი ერო! თავი და შთამომავლობა დაბოლილმა ქვეყანამ უცხოტომელებს ეგრევე ხახაში არ შევუგდოთ.

**მურად გოგატიშვილი;**
**ზურაბ გიორგაშვილი;**
**გივი ჯახუა.**
**რუსთავიდან.**



# რუსულ ხორბალს ჩვენში თანდათან ყაზახური ჩაანაცვლებს

**საქართველომ რუსული ხორბლის ყაზახურით ჩანაცვლება დაიწყო. საქმე ისაა, რომ ჩვენგან ჩრდილოეთით მარცვლეული განუხრელად ძვირდება. მოსავალი მცირეა, ხოლო ფასი არაპროგნოზირებადი. საქართველოს კი ჰაერივით სჭირდება იაფი ნედლეული, რადგან პური გაძვირების ზღვარზეა.**

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ლევან სილაგავა** ადასტურებს, რომ საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტით უკვე შემოსულია რამდენიმე ათასი ტონა ყაზახური ხორბალი. იმის გამო, რომ წელს რუსეთში ხორბლის მცირე მოსავალი მოვიდა, რამაც მისი 12-19%-ით გაძვირება გამოიწვია, ყაზახური ხორბალი რუსულთან შედარებით კონკურენტუნარიანი გახადა.

**„რუსული ხორბლის რა ნაწილს ჩაანაცვლებს ყაზახური ხორბალი, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ჯერ მხოლოდ პირველი პარტიები შემოვიდა, თუმცა ფასიდან გამომდინარე ის საკმაოდ კონკურენტუნარია. საზღვარზე 1 ტონა რუსული ხორბლის ფასი 220-225 დოლარია, ანალოგიურ ნიშნულზეა ყაზახური ხორბლის ფასიც. ეს ერთგვარად კარგიცაა, რადგან ხორბლის იმპორტი საქართველოში დივერსიფიცირებული იქნება. აღსანიშნავია, რომ შარშან რუსული ხორბლის ფასი 185-200 დოლარის ფარგლებში მერყეობდა“,** — განაცხადა ლევან სილაგავამ.

წელს რუსეთში 107-108 მილიონ ტონა მარცვლეულს ელიან, აქედან 68-69 მილიონი ტონა ხორბალი იქნება. შარშან კი მარცვლეულის მოსავალმა 130 მილიონი ტონა შეადგინა, საიდანაც 80 მილიონი ტონა ხორბალი იყო. რუსეთი შარშან ნომერ პირველი ექსპორტიორი იყო მსოფლიოში, მან 44 მილიონი ტონა მარცვლეულის ექსპორტი განახორციელა, წელს კი 30 მილიონზე მეტს არ გაიტანს, მათ შორის ხორბალი 25 მილიონი ტონა იქნება.

არა მარტო რუსეთში, მოსავლის მხრივ პრობლემებია სხვა ქვეყნებშიც. კანადაში მოსავალი 3 წლის მინიმუმზეა, ავსტრალიაში 30%-იანი კლებაა, არგენტინამ საერთოდ რეგულაცია დააწესა, რომ საექსპორტო ბაზრებზე მინიმალურად გაიტანს ხორბალს, გერმანიამ 640 მლნ ევრო გამოუყო ფერმერებს ზარალის ანაზღაურების მიზნით, იმდენად ცუდი მოსავალი იყო. უკრაინაში სახელმწიფომ ექსპორტიორებთან მემორანდუმი გააფორმა, რომ ფიქსირებულ რაოდენობაზე მეტი არ გაეტანათ. რუსეთში კი ელოდებიან, რომ ურალსა და ციმბირში ამინდის გამო შეიძლება ხორბლის გარკვეული ნაწილის აღება ვერც მოხერხდეს. ერთადერთი ამერიკაა, რომელსაც კარგი მოსავალი აქვს.

საქართველოში ბოლო ორი თვის განმავლობაში ფქვილის ფასმა თითქმის 10 ლარით მოიმატა. იმპორტიორების ინფორმაციით, სანამ საერთაშორისო ბაზარზე არსებული ვითარება არ შეიცვლება, ხორბლისა და ფქვილის ფასის დაწევა რეალურად შეუძლებელია. მასზე უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსიც, რაც ამ პროდუქტის გაძვირებისათვის დამატებითი ფაქტორია.

ერთადერთი დადებითი ფაქტორია ის, რომ ხორბლის ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებთან დაკავშირებით შეზღუდვა 1 წლით გადავადდა. გადამზიდავების მხრიდან რეგულაციებთან დაკავშირებით უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ფინანსთა მინისტრმა უკან დაიხია. საქართველო წელიწადში 600-700 ათას ტონა სასურსათო ხორბალს მოიხმარს, საიდანაც 10% ქართული ხორბალია, დანარჩენი კი დღემდე რუსეთიდან შემოდიოდა. აქამდე ყაზახური და უკრაინული ხორბლის წილი ძალიან მცირე იყო.

**ბექა დანელია**



# „საქსტატის“ ფასები არ შეესაბამება არსებულ რეალობას!

**„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ძალიან ზოგადია და რეალობას ვერ ასახავს. აჯობებს, ფასების გამოკითხვა კონკრეტულ პროდუქტზე და კონკრეტულ რეგიონზე მოხდეს,“** — ასე აფასებს სტატისტიკოსი იოსებ არჩვაძე „საქსტატიდან“ გამოთხოვილ ინფორმაციას, რომლის შედეგადაც უწყება ირწმუნება, რომ ფასები უმნიშვნელოდ არის გაზრდილი.

არჩვაძის განმარტებით, სტატისტიკას არჩეული აქვს რამდენიმე კვლევის ობიექტი და მათზე ახდენს დაკვირვებას. საბოლოოდ კი მონაცემი გასაშუალებულია. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რეგიონებში თბილისთან შედარებით 7-8 პროცენტით იაფია პროდუქცია. არჩვაძის ინფორმაციით, აჯობებს ყოველ კონკრეტულ პროდუქტზე და კონკრეტულ რეგიონზე მოხდეს ფასების გამოკითხვა. მისი განმარტებით, რეალობასთან ახლო მონაცემების დადებაში დაინტერესებული უნდა იყოს როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე ოპოზიციური პარტიები.

ხომ არ ხედავს „საქსტატის“ ყოფილი მაღალჩინოსანი არსებული მეთოდოლოგიის გადახედვის აუცილებლობას, არჩვაძე განმარტავს,რომ ზოგად სტატისტიკას სავალუტო ფონდის მიერ დაკვირვება ვერ შეცვლის, თუმცა, უწყებამ თავად უნდა დააყენოს ეს მოთხოვნა, რაც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ზრდას მოითხოვს.

**„სავალუტო ფონდი 300 სახეობის საქონელზე ახდენს ყოველწლიურად დაკვირვებას. „საქსტატის“ მიერ სპეციალიზირებული გამოკვლევის ჩატარებას კი დამატებითი ფინანსები სჭირდება. ამის მომხრე ვარ, გვეცოდინებოდა პირობითად, იმერეთში კონკრეტულად 10 დასახელების მედიკამენტზე რა ფასებია და რა ტენდენციაა დინამიკაში. ეს ყველაფერი ან „საქსტატის“ მხრიდან უნდა გაკეთდეს, ან დონორებიდან მოზიდული ფინანსებით. თუმცა, მანამდე მომხმარებელმა უნდა დააყენოს საკითხი იმაზე, რომ ინფორმაცია, რომელსაც სტატისტიკა იძლევა, არ არის საკმარისი და დამაკმაყოფილებელი. ასევე ის, რომ გვაქვს სურვილი უფრო კონკრეტული და დეტალური ინფორმაციის მიღების. ამის შემდეგ „საქსტატს“ ექნება მორალური და იურიდიული საფუძველი იმისა, რომ მეტი დაფინანსება მოითხოვოს“** — აცხადებს არჩვაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა მუდმივად წუხს სურსათის გაზრდილ ფასებზე, „საქსტატი“ ირწმუნება, რომ ფასები პროდუქტებზე უმნიშვნელოდ არის შეცვლილი.

**„საქსტატის“ ინფორმაციით, 1 ლიტრი ბენზინი 2013 წელს თუ 2.07 ლარი ღირდა, მისი ფასი 2014 წელს — 2.34 ლარი გახდა, 2015 წელს —1.87 ლარი შეადგინა, 2016 წელს 1.66 ლარი, 2017 წელს — 2.17 ლარი, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ბენზისი ფასი 2.33 ლარს შეადგენს.**

**ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2013 წლიდან დღემდე, სასურსათო პროდუქციაში ყველაზე მეტად ყურძნის და ქიშმიშის ფასია გაზრდილი. თუ 2013 წელს 1 კილოგრამი ქიშმიშის ფასი 6.58 ლარი იყო, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით მისი ფასი 10.34 ლარამდე გაიზარდა.**

**რაც შეეხება ყურძენს, 2013 წელს 1 კილოგრამი ყურძნის ფასი 3.74 ლარს შეადგენდა, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით, კილოგრამი ყურძნის ფასი 5.69 ლარამდე გაიზარდა.გაზრდილია საქონლის ხორცის ფასიც. თუ 1 კგ-ს ფასი 2013 წელს 11.59 ლარს შეადგენდა, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 1 კგ საქონლის ხორცის ფასი 14.35 ლარი იყო.**

„საქსტატის“ მონაცემებით, ფასების ზრდა აღირიცხა მედიკამენტების გარკვეულ სახეობებზეც.

**სოფო ქსოვრელი**



# აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზური ენაც ქრება!

**მას შემდეგ, რაც 25 წლის წინათ სოხუმი დაეცა და ქართველებისგან დაიცალა, შეიცვალა როგორც აფხაზეთის, ისე დანარჩენი საქართველოს ცხოვრება. ომის შედეგად დევნილი გახდა 250 ათასამდე ადამიანი, რომელთა დიდ ნაწილს მას შემდეგ საკუთარი სახლი არც უნახავს. ამჟამად ქართველებით დასახლებულ რაიონად აფხაზეთში რჩება მხოლოდ გალი, რომელიც ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებს ესაზღვრება. გალელების უფლებებს წლიდან წლამდე ზღუდავს დე ფაქტო ხელისუფლება. მათ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ე. წ. პასპორტებსაც არ აძლევენ და მხოლოდ დროებითი ბინადრობის მოწმობებს ურიგებენ. პარალელურად ყოველწლიურად იზღუდება სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება.**

აფხაზეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელის ნონა შონიას განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან გალის ე. წ. დაბალი ზონის 10 სკოლაში, სადაც მეშვიდედან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით შენარჩუნებული იყო ქართულად სწავლა, წელს მეშვიდე კლასიც რუსულენოვანი გახდა. ქართულის პარალელურად აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ნაკლები საათები ეთმობა აფხაზურს.

**„გალის ქვედა ზონაში სულ 29 საათი ეთმობა აფხაზურ ენას, დაახლოებით 27-28 საათი — გალის ზედა ზონაში. საათების ასეთი რაოდენობაც კი მეტყველებს იმაზე, თუ როგორია მზრუნველობა აფხაზური ენის მიმართ. ბავშვებს სკოლაში ნასწავლი ეს აფხაზურიც მალე ავიწყდებათ, ძალიან უჭირთ. სამწუხაროდ, თვითონ აფხაზებს შორისაც ბევრმა არ იცის მშობლიური აფხაზური, მეტყველებს და მუშაობს რუსულ ენაზე“,** — უთხრა ნონა შონიამ რადიო „თავისუფლებას“. მისი განმარტებით, 3-4 წელიწადში გალში საერთოდ არ იარსებებს ქართულენოვანი კლასიც კი და იმ ფონზე, როცა მთავარ ენად რჩება რუსული, საფრთხე ექმნება თავად აფხაზურსაც.

გალის რაიონის სოფელ სიდაში მცხოვრები მასწავლებელი ამბობს, რომ სკოლაში, სადაც თავად ასწავლის, აფხაზურ ენას დაწყებით კლასებში რამდენიმე საათი ეთმობა:

**„ზოგ კლასში არის ორი საათი და ზოგში — სამი, დაბალ ზონაში კი მე-4, მე-5 და ზევით კლასებში — არა“,** — ამბობს სოფელ სიდის სკოლის პედაგოგი, რომელსაც ვინაობის დასახელება უსაფრთხოების მიზნით არ სურს.

თვითონ ძირძველმა აფხაზებმაც არ იციან ნორმალურად აფხაზურად კითხვა.

აფხაზურ ენას მხოლოდ ფორმალურად ასწავლიან, ასე თვლის რადიო „თავისუფლების“ კიდევ ერთი რესპონდენტი. ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის სკოლის ყოფილი მასწავლებელი. ჯამბულ ეხვაია ამბობს, რომ სკოლებში არ ჰყავთ ენის სპეციალისტები, რაც, ბუნებრივია, აისახება განათლების ხარისხზე: **„დასაქმებული ჰყავთ სასაუბრო ენის მცოდნენი. მათი მიზანია, რომ 2-3 ლექსი შეისწავლოს მოსწავლემ. თვითონ ძირძველმა აფხაზებმაც არ იციან ნორმალურად აფხაზურად კითხვა“,** — აცხადებს ჯამბულ ეხვაია.

აფხაზეთის სკოლებში განათლების დაბალი ხარისხის გამო სასწავლებლად დანარჩენ საქართველოში გადმოდიან მოსწავლეები. მაგალითად, წალენჯიხის სოფელ ფახულანის თემის წყოუშის სკოლას წელს გაცილებით მეტი მოსწავლე ჰყავს, ვიდრე შარშან. მათ შორის არიან პირველკლასელებიც. სკოლის დირექტორ ვახტანგ გოგოხიას განცხადებით, წელს მათ ე. წ. საზღვარზე გადაადგილების პრობლემა არ შექმნიათ: **„სულ მყავს 11 მოსწავლე. შარშან მყავდა 8. მყავს პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე კლასის მოსწავლეები“,** — უთხრა ვახტანგ გოგოხიამ რადიო „თავისუფლებას“.

მიუხედავად იმისა, რომ წელს წყოუშის სკოლას გალიდან უფრო მეტი მოსწავლე ჰყავს, საერთო ჯამში, ოკუპირებული რეგიონიდან გადმომსვლელი მოზარდების რიცხვი შემცირებულია. აფხაზეთის განათლების რესურსცენტრის ინფორმაციით, თუ რამდენიმე წლის წინათ საოკუპაციო ხაზს 100-ზე მეტი მოსწავლე კვეთდა, წელს მათი რიცხვი 16-ს არ აღემატება.

**თამარ ზანთარაია**



# როგორ ხვდებიან ტურისტებს სოხუმში?

**ტურიზმი აფხაზეთში შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა, თუმცა სასტუმროები და ტურისტული კომპლექსები ამ საქმიანობის მხოლოდ ერთი, ხილვადი ნაწილია. არის მეორე მხარეც, აფხაზეთის თითქმის ყველა მცხოვრები ასე თუ ისე დაკავშირებულია ტურიზმთან — ზოგი აქირავებს ოთახებს, ზოგი ყიდის პროდუქტებს ბაზარში, ზოგი მუშაობს გიდად, ზოგიც ტაქსაობს.**

კერძო სექტორში ცხოვრების ხარისხი ძალიან დაბალია, სახლების მეპატრონეებმა არაფერი იციან მენეჯმენტის შესახებ, თუმცა ამის მიუხედავად, კერძო სექტორის პოპულარობა რუს ტურისტებში არ მცირდება.

ასეთი ტიპის სახლების სტუმრები ძირითადად ამახვილებენ ყურადღებას მეპატრონეებთან თბილ და უშუალო ურთიერთობებზე. ისინი ერთად სადილობენ, კარგად იცნობენ ერთმანეთს და ნათესავებს და წლობით სტუმრობენ ერთსა და იმავე ოჯახს.

**„არ გვიყვარს დასვენება სასტუმროში, რადგანაც ის მოკლებულია იმ სულიერ მხარეს, რომელისთვისაც ჩვენ ჩამოვდივართ აფხაზეთში. რუსეთის კურორტებზე, სოჭში, ანაპაში, გელენჯიკში, ყველაფერი დაიჭირეს დიდმა სასტუმროებმა, კერძო სექტორი თითქმის არ არსებობს. თანაც ზღვა არ არის ისეთი სუფთა, როგორც აქ“,** — ამბობენ ამ ტიპის ტურიზმის მოყვარულები.

ინფორმაციის მიღება ამ ობიექტების შესახებ შეუძლებელია ინტერნეტით — მხოლოდ პირადი ნაცნობობით თუ მოახერხებთ.

თუმცა, არის მეორე მხარეც — ბევრი აფხაზი სინამდვილეში ვერ იტანს დამსვენებლებს მათი თავისუფალი ქცევის გამო.

**„მეზიზღება ზაფხული, არა იმიტომ რომ ცხელა, არამედ იმიტომ რომ ქალაქში დარბიან ნახევრად შიშველი ქალები. ბევრი ჩვენი მამაკაცი მთელი დღეები იკარგება პლაჟებზე. ბევრმა ქალმა-ტურისტმა არ იცის როგორ მოიქცეს. მათ ხიბლავთ ყურადღება მამაკაცების მხრიდან, თუმცა ისინი ვერ ხვდებიან, რომ აფხაზი მამაკაცები უყურებენ მათ, როგორც მეძავებს“,** — ამბობს ერთ-ერთი ასეთი სახლის მეპატრონე.

ეს არაა ერთეული შემთხვევა — ბევრ მეწარმესთან საუბრის დროს ჟურნალისტებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ დევიზი „კლიენტი ყოველთვის მართალია“ აფხაზეთში არ მუშაობს. უფრო პირიქით. სახლ-სასტუმროების ბევრი მფლობელი, ტაქსისტი ან ოფიციანტი ღიად საუბრობს ტურისტებზე, როგორც მცირე უსიამოვნებაზე, რომელიც უნდა აიტანონ ფინანსური მოგების გამო.

**„შემოდგომაზე ჩემს ძმას ქორწილი უნდა გადავუხადოთ, ამიტომაც გვიწევს იმის ატანა, რომ აქაურობა სავსეა ნახევრად შიშველი ტურისტებით, რომლებიც დარბიან იქით-აქეთ გასაბერი მატრასებით და საზამთროებით“,** — ამბობს ერთ-ერთი აფხაზი ქალი.

მისი თქმით, სასტუმროსახლების მეპატრონეები აფრთხილებენ ჩამოსულ გოგონებს ადგილობრივ მამაკაცებთან ურთიერთობების წესების შესახებ.

**— აფხაზეთში დამსვენებლებს ხშირად ძარცვავენ. ერთხელ ასეთი რამ მოხდა ჩვენთანაც. ქურდები მოვძებნეთ და მოპარული ნივთები დავაბრუნეთ, თუმცა ძალიან დიდი ნერვების ფასად. მილიციას არ მივმართეთ, მათგან მაინც არანაირი ხეირი არაა, — ყვება ის.**

აფხაზეთის ტურისტული კავშირის თავმჯდომარე ანა კალიაგინა ამბობს, რომ კერძო სექტორის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ადამიანებმა არ იციან, როგორ უნდა აწარმოონ ბიზნესი და არც ცდილობენ ამის სწავლას.

**„ადამიანები ღებულობენ შემოსავალს ტურისტებისგან, მაგრამ ამავე დროს მათ არ ესმით რომ ეს ბიზნესია, რომელსაც აქვს თავისი წესები. დღეს აფხაზეთის რეალური შემოსავლის წყარო მხოლოდ ტურისტებია. თუმცა არ ვიცი, როგორ უნდა აუხსნა ეს რიგით ადამიანს“** — ჩივის კალიაგინა.

აფხაზეთის კერძო სექტორის წარმომადგენლები კი პირიქით, სიამაყით აღნიშნავენ რომ არ არიან ბიზნესმენები.

**— ჩვენ ვაფასებთ ჩვენთან მცხოვრებ ტურისტებს, როგორც პირად სტუმრებს და ვაძლევთ მათ გაცილებით მეტს, ვიდრე ისინი იხდიან. ჩვენი ყურადღება და კულტურა, რომელსაც უზიარებთ სტუმრებს, გაცილებით უფრო მეტი ღირს, ვიდრე ოთახი ან კომფორტი. ცუდია, რომ ადამიანები ამას არ აფასებენ სათანადოდ,** — ვერ მალავენ უკმაყოფილებას აფხაზები.

როგორც ჩანს, ტურიზმისადმი ეს განსაკუთრებული, აფხაზური მიგდომა მართლაც სულ უფრო ნაკლებად პოპულარულია. ბოლო 3 წლის მანძილზე აფხაზეთში დამსვენებელთა რაოდენობა ყოვეწლიურად მცირდება როგორც სასტუმროებში, ასევე კერძო სექტორში.

ანა კალიაგინას თქმით, რაც შეეხება სასტუმროებს, ამ ტენდენციას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა, კერძო სექტორთან დაკავშირებით — პირადი დაკვირვებები.

**„კერძო სექტორზე სანდო მონაცემების მიღება შეუძლებელია — ადამიანები ცდილობენ გადასახადებისგან თავის არიდებას და ოფიციალურად ისინი არავითარ სტუმრებს არ იღებენ“,** — ამბობს ტურისტული ასოციაციის თავმჯდომარე.

აფხაზეთში ოფიციალურად რეგისტრირებულია 360 სასტუმრო და 23 000 ადგილი. 2017 წელს მათ მიიღეს 103 000 ტურისტი, 2018 წელს — სავარაუდოდ, 67 000. კლება საკმაოდ შესამჩნევია.

ოფიციალური სტრუქტურები აცხადებენ, რომ მუშაობენ კერძო და მინი სასტუმროებისთვის საქმიანობის აუცილებელი ლიცენზირების სისტემის დანერგვაზე, თუმცა სეზონი უკვე დასრულდა. სავარაუდოდ, ეს საკითხი გახდება აქტუალური 2019 წლის სეზონისთვის.

COMMERSANT.GE

## რუსი დიპლომატების მანქანებს ფეკალიები გადაასხეს

კიევში რუსეთის საელჩომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსი დიპლომატების ავტომობილებზე თავდასხმის გამო პროტესტის ნოტა გაუგზავნა. მედიის ინფორმაციით, დაუდგენელმა პირებმა რუსი დიპლომატების ავტომობილებს ფეკალიები გადაასხეს. საელჩოს თანამშრომლის თქმით, მანქანებზე შეურაცხმყოფელი წარწერებია. ინციდენტის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში მოხალისემ როდიონ შოვკოშიტნიმ განათავსა.

მისი თქმით,აქცია მიეძღვნა „როსსოტრუდნიჩესტვოს“ ყოფილი უფროსის კონსტანტინე ვორობიოვის დასამშვიდობებელ ვახშამს, რომელიც დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობის ერთ-ერთ დარბაზში მიმდინარეობდა. მოხალისე ამბობს,რომ აქციის მიზანი ვორობიოვზე შურისძიება იყო, რომელიც, მათი თქმით, „ანტიუკრაინული აქციების“ ორგანიზატორი იყო.



## საფრანგეთში პოლიციის უფროსი მოკლეს

ქალაქ როდეზის პოლიციის უფროსი პასკალ ფილოე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

France 3 Occitanie -ის ინფორმაციით, თავდასხმა ქალაქის მერიის შენობასთან მოხდა. ფილოემ ცივი იარაღით მიყენებული სამი ჭრილობა მიიღო. მომხდართან დაკავშირებით 40 წლის კაცი დააკავებული, რომელიც რამდენიმე თვით ადრე ავეირონის დეპარტამენტში საცხოვრებლად გადავიდა.

## სიმართლე კი ასეთია



# ვინ და როდის გვაღიარა?!

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი 1920 წლის 13 სექტემბერს დაიწყო და რუსეთის იმპერიისგან თავდახსნილი ქვეყნის სუვერენიტეტი პირველმა არგენტინამ აღიარა.**

საბჭოთა რუსეთიცა და დასავლეთის ქვეყნებიც თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან. ისინი საქართველოს საკითხს რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში განიხილავდნენ და თავს არიდებდნენ მასთან ურთიერთობების გაფუჭებას. ერთადერთი გამონაკლისი იყო არგენტინა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წლის 13 სექტემბერს აღიარა.

**მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც თვით რუსეთმა სახელმწიფოებრიობა ორ ქვეყანას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ მას მიბაძეს: 1920 წლის 24 სექტემბერს — გერმანიამ; 1921 წლის 27 იანვარს — ბელგიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ; 1921 წლის 28 იანვარს — პოლონეთმა; 1921 წლის 17 თებერვალს — ავსტრიამ; 1921 წლის 18 თებერვალს — რუმინეთმა; 1921 წლის 23 თებერვალს — ლუქსემბურგმა; 1921 წლის 14 აპრილს - მექსიკამ.**

საერთაშორისო ცნობა გაგრძელდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც.

1917 წლის გაზაფხულზე რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად, საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა.

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს საქართველოს მთავრობის სასახლეში ნოე ჟორდანიას სეფე-სიტყვის წარმოთქმის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღად 26 მაისი გამოცხადდა. ამავე სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი (დროებითი) მთავრობის შემადგენლობა. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში“ ნათქვამი იყო: **ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელია, ხოლო საქართველო — სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა.**

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმია (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, ბუდიონის და ჟლობის კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. საბრძოლო მოქმედებები მარტის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.

გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებულ იქნა 1921 წლის 21 მაისის ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა, იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს.



# აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამა იკრძალება

**აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამა შესაძლოა, აიკრძალოს. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული შესაბამისი ინიციატივა პარლამენტში სავარაუდოდ ორშაბათს დარეგისტრირდება. ცვლილებების მიხედვით, იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამის გავრცელება ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, გარდა სპონსორობისა.**

ცვლილებების თანახმად, აზარტული თამაშების რეკლამა აიკრძალება რელიგიურ, საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში (გარდა სპორტულ ეკიპირებაზე გამოსახვისა), ასევე, მათგან 200 მეტრის რადიუსში. აგრეთვე, აიკრძალება აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაზე დაწესებულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის განთავსება, რომელიც აღემატება 10 კვ.მ. ფართობს.

სიახლე ეხება ქართული ბარათებით უცხოურ აზარტულ და მომგებიან თამაშებზე ონლაინ გადახდების აკრძალვასაც. ცვლილებების თანახმად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს (ყველა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, მათ შორის კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს) აეკრძალება, ურთიერთობა დაამყაროს უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან, მათ სასარგებლოდ გადახდების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს დაეკისრება ვალდებულება, არ დაუშვას მის მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათით უცხოური სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი კომპანიის სასარგებლოდ ინტერნეტ სივრცეში გადახდის განხორციელება საბარათე სქემის მიერ განსაზღვრული სათამაშო ბიზნესის მაიდენტიფიცირებელი კოდის საშუალებით. წესის დარღვევისთვის 10 ათასლარიანი ჯარიმაა გათვალისწინებული.

# ხადურს ლონდონში სასამართლოზე წასასვლელი ფული არ ჰქონია

**ყოფილი ფინანსთა მინისტრი და კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი, ნოდარ ხადური ტელეკომპანია „იბერიას“ სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით მზად არის, კითხვებს უპასუხოს, თუმცა ამბობს , რომ ლონდონში გასამგზავრებლად ფული არა აქვს“.**



„იბერიის“ საქმესთან დაკავშირებით ჩემი სახელი და გვარი არ ფიგურირებს, ისევე როგორც ჩემი გვარი და სახელი არ ფიგურირებს არც ერთ სხვა საქმეში, მათ შორის არც ომეგა ჯგუფთან. არ ვიცი, რაზე საუბრობდა ორი ადამიანი. ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელ თემებზე საუბრობენ, იმიტომ რომ ნოდარ ხადურს არავისთვის არასდროს არაფერი უთხოვია. არავისთვის მიუცია რწმუნება, რომ მისი სახელით ესაუბრა ბიზნესსუბიექტებთან. ნოდარ ხადურს ეგრე არ უცხოვრია და არც უმუშავია.

ხადურის ფინანსთა მინისტრად მუშაობისას მთავარი მიღწევა იყო, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახური, ისევე როგორც საგამოძიებო სამსახური გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, ეს არის ნოდარ ხადურის გაკეთებული საქმე.

**ჯერ მიკვირს, რატომ ლონდონის სასამართლო, იმიტომ რომ არ ვარ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე და არც ისინი არიან. ძალიან გულწრფელად მინდა, ვთქვა, არც ერთ კითხვაზე პასუხს არ გავურბივარ და გავცემ, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე შემიძლია, ჩემი რესურსებით ჩავიდე ლონდონში, ვიქირავო თარჯიმანი და ადვოკატი, ძალიან ცდება“...**

# ქაოსი იუსტიციის სახლში

**იუსტიციის სახლში ტაქსის მძღოლები ნებართვის ასაღებად რეგისტრაციას გადიან და დიდ რიგში უწევთ დგომა. ამის გამო იუსტიციის სახლში სრული ქაოსია.**

ტაქსის მძღოლები, რომლებსაც შესაბამისი ნებართვა არ ექნებათ, პირველი ოქტომბრიდან 200 ლარით დაჯარიმდებიან. მძღოლები ლიცენზიის აღებისთვის ვადის გახანგრძლივებას ითხოვენ.

**ტაქსის მძღოლებს ლიცენზიის აღება თბილისის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო უწევთ. მძღოლებს ლიცენზიის ასაღებად დრო 21 აგვისტოდან ჰქონდათ. მძღოლმა ერთწლიანი ნებართვის მისაღებად უნდა გადაიხადოს 100 ლარი, ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში 50 ლარი, ხოლო ელექტროძრავიანი ავტომობილის ყოლის შემთხვევაში ნებართვა უფასოა. ამ დრომდე ტაქსით მომსახურების ნებართვა 8 ათასზე მეტმა მძღოლმა მიიღო.**



# ოკუპირებულ ცხინვალში ტაჯიკეთის მოქალაქე დააკავეს და რუსეთს გადასცეს

**ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ძალოვანებმა რუსეთის უშიშროების სამსახურთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოქალაქეების ფილტრაცია დაიწყეს.**

რადიკალური ექსტრემისტული და რუსეთში აკრძალული „ისლამური სახელმწიფოს“ იდეების გამავრცელებელი ტაჯიკეთის მოქალაქე უმარჯონ ისმონოვი დააკავეს. **„ისმონოვი სამხრეთ ოსეთში მყოფი შუააზიელი დაქირავებული სამუშაო მიგრანტებიდან ექსტრემისტების რიგების შესავსებას ხალხს არჩევდა. ის საქართველოსა და თურქეთის გავლით სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად ჩასვლას გეგმავდა“,** — ნათქვამია ოკუპირებული უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში. დაკავებული რუსეთს გადაეცა.

◉ ჭადრაკი

# ისევ ლიდერებში




**მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელსაც აჭარის დედაქალაქი მასპინძლობს, საქართველოს ქალთა პირველმა ნაკრებმა მე-4 ტურში ვიეტნამის გუნდი დაამარცხა და ლიდერებში ადგილი შეინარჩუნა, ხოლო ვაჟთა პირველმა ნაკრებმა ლიეტუვასთან წააგო. გაუწყებთ საქართველოს ქალ-ვაჟთა გუნდებისა და ბობოლათა პაექრობების ანგარიშებს:**

**ქალები**

**ვიეტნამი-საქართველო (1)** 1:3 (ფუნგ კიმ დი ვო – ნანა ძაგნიძე 0:1, ნგუენ ლი ტაო პჰამი – ლელა ჯავახიშვილი 0.5:0.5, თრამ ბაო დი ჰოანგი – ნინო ბაციაშვილი 0:1, ჰუანგ მაი დი ნგუენი – მერი არაბიძე 0.5:0.5); **უნგრეთი-საქართველო (2)** 1.5:2.5 (ჰოანგ თან თრანგი – სალომე მელია 1:0, ანიტა გარა – სოფიკო გვეტაძე 0:1, ტაისია გარა – სოფიკო ხუხაშვილი 0:1, ნიკოლეტა ლაკოში – მირანდა მიქაძე 0.5:0.5); **საქართველო (3) – ავსტრალია** 1:3 (ნინო ხომერიკი – ჰიტა რიჩარდსი 0.5:0.5, მარიამ ჯანიაშვილი – იულია რიჟანოვა 0.5:0.5, თამარ ესაძე – ჟილინ ჟანი 0:1, დიანა ლომაია – ირინა ბერეზინა 0:1)... **ჩინეთი – უზბეკეთი** 3:1, **იტალია – სომხეთი** 1.5:2.5, **ირანი – მონგოლეთი** 0.5:3.5, **აზერბაიჯანი – აშშ** 1.5:2.5, **უკრაინა-სლოვენია** 4:0, **ინდოეთი – პოლონეთი** 3:1, **ესპანეთი – არგენტინა** 1.5:2.5, **ისრაელი – რუსეთი** 1:3.

მანდილოსნებში 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ექვსი გუნდი მეწინავეობს: ჩინეთი (საერთო მონაგარი 13 ქულა), აშშ (12), უკრაინა (13.5), მოლდოვა (13), სომხეთი (12.5) და საქართველო-1 (12.5)... 9. საქართველო (2) – 7 (12), 45. საქართველო (3) – 5 (10.5).

**ვაჟები**

**საქართველო (1) – ლიეტუვა** 1:3 (ბაადურ ჯობავა – შარუნას სულსკისი 0:1, მიხეილ მჭედლიშვილი – ტომას ლაურენსი 0.5:0.5, ივან ჩეპარინოვი-ტიტას სტრემავიჩიუსი 0.5:0.5, დავით ჯოჯუა – ვიდმანტას მალისაუსკასი 0:1); **საქართველო (2) – ავსტრალია** 2:2 (ლუკა პაიჭაძე – ანტონ სმირნოვი 1:0, დავით მაღალაშვილი – ჟონ-იუან ჟანი 0:1, თორნიკე სანიკიძე – მაქს ილინგვორტი 1:0, გიგა ყუფარაძე – ბობი ჩენი 0:1); **მაროკო – საქართველო (3)** 1:3 (მოჰამედ ტისირი – ნოე თუთისანი 0.5:0.5, აბდელ აზიზ ონქუდი-ლუკა ობოლაძე 0.5:0.5, იასერ საბერი-ნიკოლოზ კაჭარავა 0:1, მოჰამედ – მეჰდი აიტმიდუ-გიორგი სიბაშვილი 0:1)... **ვიეტნამი – საფრანგეთი** 1.5:2.5, **აშშ – ინდოეთი** 2.5:1.5, **აზერბაიჯანი – ინგლისი** 3.5:0.5, **საბერძნეთი – სომხეთი** 1:3, **პოლონეთი – რუსეთი** 2.5:1.5, **ისრაელი – შვედეთი** 3:1, **ჩეხეთი – ირანი** 2.5:1.5, **ჩინეთი – ხორვატეთი** 3.5:0.5, **არგენტინა – უკრაინა** 1.5:2.5, **უნგრეთი – გერმანია** 1.5:2.5.

მამაკაცებში 8-8 ქულა ცხრა გუნდმა მოაგროვა. პირველ-მესამე ადგილებს აზერბაიჯანი (13.5), პოლონეთი (13) და ჩინეთი (13) იყოფენ... 27. საქართველო (3) – 6 (12), 49. საქართველო (1) – 5 (9.5), 52. საქართველო (2) – 5 (9.5).

**ლექსო ცინცაძე**

# ჯადოსნური მეხსიერება



**მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის გამუდმებული მოქიშპე, რომელიც მისი წინამორბედი იყო, კუბელი დიდოსტატი ხოსე რაულ კაპაბლანკა, მის შესახებ ამბობდა: „მას საუკეთესო საჭადრაკო მეხსიერება ჰქონდა, რომელიც ოდესმე კაცს ჰქონია“.**

ამ ნიჭის წყალობით ალექსანდრე ალიოხინს წლების შემდეგაც თავისუფლად შეეძლო მეხსიერებაში აღედგინა და გაერჩია ოდესღაც ნათამაშები პარტია. ერთხელ მან „ბრმად“ (ანუ დაფაზე დაუხედავად!) 32 პარტია ითამაშა, რომელთაგან 19 მოიგო, 9 ყაიმით დაამთავრა, ხოლო 4 წააგო.

დომინიკ ო'ბრაიენი კი გინესის რეკორდების წიგნში 2002 წელს მას შემდეგ მოხვდა, რაც 2808 ბანქოს სათამაშო ქაღალდის (ეს კი 52 დასტაა!) დაწყობის თანმიმდევრობის დამახსოვრება შეძლო მხოლოდ თვალის ერთი გადავლებით. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მას კაზინოებში შესვლა ოფიციალურად აუკრძალეს.

ინდოელი სურეშ ქუმარ შარმა კი მსოფლიო რეკორდსმენია რიცხვ პი-ს მძიმის შემდეგ ციფრების გამეორებაში. 2015 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ ჯაიპურის მკვიდრმა, ბოსტნეულით ყოფილმა მოვაჭრემ, 17 საათსა და 14 წუთზე მძიმის შემდეგ 70 030 ნიშანი დაასახელა.

ისევ ჭადრაკს თუ დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს ლას-ვეგასში თემურ გარეევმა „ბრმა ჭადრაკში“ თამაშის რეკორდი დაამყარა: გროსმეისტერმა 48 პარტია (43 მოწინააღმდეგეებთან დარბაზში და 5 ონლაინ) ითამაშა, რომელთაგან 35 მოიგო, 6 წააგო და 7 ყაიმით დაამთავრა. სეანსი 19 საათზე მეტხანს გაგრძელდა და მთელი ამ დროის განმავლობაში თემურ გარეევი ველოტრენაჟორზე პედლებს თვალდახუჭული ატრიალებდა.

**ნინო ალექსანდრია**

◉ კალათბურთი

# ოჰ, ეს ფილტვები




**33 წლის ბოსნიელმა ფორვარდმა მირზა ტელეტოვიჩმა კარიერა დაასრულა. მას 2017 წლის დეკემბერში ექიმმა ფილტვებში თრომბი დაუდგინა, მაგრამ მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და მირზას კარიერის დასრულება მოუწია.**

გავრცელებული ინფორმაციით, ტელეტოვიჩი ბოსნია-ჰერცოგოვინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას უმიზნებს.

მირზას ნბა-ს სამ კლუბში უთამაშია. ესენია „ბრუკლინი“, „ფინიქსი“ და „მილუოკი“. ნბა-ში მისი მონაგარი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 7.1 ქულას და2.3 მოხსნას შეადგენდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ხელბურთი

# „პეგასმა“ ფრთები გაშალა

**ქართველმა ხელბურთელებმა ახალი სეზონი ვაჟთა საქართველოს თასის გათამაშებით გახსნეს. მსგავსი შეჯიბრება მესამედ გაიმართა: 2014 წელს ფინალში „სამტრედიამ“ „პეგასს“ აჯობა, მომდევნო წელს კი თასს ბათუმელები დაეუფლნენ. წლევანდელ შეჯიბრებაში რვა გუნდი ჩაება. მათი მეოთხედფინალური შეხვედრები ასე დასრულდა: „გორი“ – ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ 19:49, თელავის „იმედი“-სტუ – ფოთის „ოქროს ვერძი“ 41:13, სპორტის უნივერსიტეტის „სპორტუნი“ – „სამტრედია“ 43:34, „ქუთაისი“ – თბილისის „პეგასი“ 31:38. ნახევარფინალში „ბათუმმა“ „თელავს“ აჯობა - 28:21, ხოლო „პეგასმა“ „სპორტუნი“ გაანადგურა – 39:16.**

გადამწყვეტ პაექრობაში მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო „შავი ზღვის ბიჭები“, მაგრამ საფინალო სასტვენამდე დარჩენილ ორ წუთში მეტოქემ სამბურთიანი სხვაობა გააბათილა და შეხვედრის დამთავრებამდე 3 წამით ადრე კალანდაძემ ზუსტი შვიდმეტრიანით „პეგასს“ გამარჯვება მოუტანა.

**„ბათუმი“ – „პეგასი“ 29:30 (17:16)**

**„ბათუმი“:** ხანდოლიშვილი, ტორონჯაძე, ვარშალომიძე, სიმონია – 7, გოგოლაძე – 6, კოხრეიძე – 5, აბრამიშვილი – 4, ტიელიძე – 4, ტალახაძე – 2, თევზაძე – 1, ბერძენიშვილი, სურმავა, წივწივაძე, თურმანიძე, მჟავანაძე, მახარაძე.

**„პეგასი“:** დიხამინჯია, გორგოძიანი, კალანდაძე- 15, ზარნაძე – 4, ლაპიაშვილი – 4, კუხალაშვილი – 3, ქათამაძე – 2, ბაძაღუა – 1 გრიშიკაშვილი – 1, გვაზავა, კოხრეიძე, ასაბაშვილი, პატაშური, მდივანი, ჟვანია, დგებუაძე.

**მსაჯები:** რუსლან ლოშაკი, არტემ შაიბაკოვი (უკრაინა).

**ლაშა დიდია**



◉ ფეხბურთი

# ევროპა გერმანიას უბრუნდება

**ევროპის 2024 წლის ჩემპიონატი გერმანიაში ჩატარდება. აღნიშნული ინფორმაცია უეფას ვებგვერდმა ოფიციალურად დაადასტურა. ალემანების ქვეყანამ თურქეთის კონკურენცია დაძლია (12 ხმა 4-ის წინააღმდეგ) და 2006 წლის მუნდიალის შემდეგ დიდ საფეხბურთო ტურნირს პირველად უმასპინძლებს.**




უშუალოდ ევროპის ჩემპიონატს რაც შეეხება, გერმანიამ ბოლოს აღნიშნული ტურნირი 1988 წელს მიიღო. აქვე გეტყვით, რომ ევრო – 2020 ერთბაშად 12 ქვეყანაში გაიმართება, ხოლო ნახევარფინალები და ფინალი ლონდონში შედგება.

**გიორგი შოთაძე**

◉ ინტერნეტიდან

# „ფროილაინ კაგებე“ - ავსტრიელთა გამოცანა



**წარმოშობით რუსი, თუმცა, ავსტრიაში გაზრდილი პირმშვენიერი ასული ამინა დაგი, რომელიც ამჟერად საფეხბურთო კლუბ „ზალცბურგის“ თილისმად ითვლება, 2012 წელს დიდ წარმატებას გადასწვდა. სრულიად ავსტრიამ იგი „მის ავსტრიად“ დაასახელა და ამას „მის მსოფლიოზე“ დაკავებული საპატიო მეოთხე ადგილიც მოჰყვა, რაც შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვების ტოლფასი მიღწევაა.**

ალბათ თავადაც ხვდებით, რომ ამინა დაგი ამ ასულის ნამდვილი სახელი არაა და საქმე პოპულარობის მოსახვეჭ მეტსახელთან გვაქვს. ამინას ბიოგრაფიის მთელი რიგი მონაკვეთები ბურუსითაა მოცული და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გოგონა თავის ნამდვილ სახელსაც კი ცოცხალი თავით არ ამხელს.

ცხოვრების ესოდენი გასაიდუმლოების გამო მას ავსტრიაში ხუმრობით „ფროილაინ კაგებე“ შეარქვეს, რაც, ცხადია, მოდელის რუსულ წამოშობაზე ერთგვარი ხაზგასმაცაა. ერთი კი ნათელი და ცხადია - ამინა მართლაც ნამეტნავად ლამაზი ქალია და ვინც ის 6 წლის წინათ ავსტრიის საუკეთესო ლამაზმანად დაასახელა, იმან უნდა თქვას – გემოვნება მქონიაო...

**კობა კობახიძე**

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის (ვახას ხევის) კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვახას (სოფ. სალხინო) მიმდებარე ტერიტორია, „ვახას" კირქვის (საღორღე ნედლეული) გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 47 370 მ$^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვახას (სოფ. სალხინო) მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 081 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 508.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 741 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №2** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 5 820 მ$^{3}$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 061 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 506.1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 706 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ქვიშა-ხრეშის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ დააზიანოს სალიცენზიო ტერიტორის მიმდებარედ არსებულ განაშენიანება და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; |
| | | ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. უფლისციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) – 271 440 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. უფლისციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 181 982 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 18 198.2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი | 18 398 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ ბაღდათის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხანისწყლის ქვიშა-ხრეში გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 560 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ ბაღდათის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 487 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 48.7 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 249 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) წიაღისეულის მოპოვების დროს უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ნ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით |

| | | |
|---|---|---|
| | | და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟონეთის მიმდებარე ტერიტორია, „ჟონეთის“ ტეშენიტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 45 650 მ3). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟონეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 570 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 857 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 485 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დამუშავების პროცესში შეინარჩუნოს ქვაბული კედლების მდგრადობა.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული |
| | | ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); |

| | | |
|---|---|---|
| | | ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორია, „დაბა სურამის" საღორე ნედლეულის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) – 159 960 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 17 159 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1715.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 780 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 1 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
